



მეცხეთის უნივერსიტეტი

№10-11 (286) ნოემბერი-დეკემბერი, 2023 წელი

გამოცემის 1990 წლის დეკემბრიდან

გილოცავთ შობა-ახალ წელს!



სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფუძნებული აფხაზური ცენტრის „მეცხე ახალგაზრდები ერთობისთვის“ გახსნიდან, 26 დეკემბერს, ერთი წელი გავიდა.

ამ თარიღთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ღონისძიება გაიმართა. ღონისძიების დაწყებამდე, აფხაზური ცენტრის ოფისში, სტუმრები აფხაზური ენის სწავლების სალექციო პროცესს დაესწრნენ, რის შემდეგაც ცენტრის წევრებ-

„მეცხე ახალგაზრდები ერთობისთვის“ – იუბილარია

მა აუდიტორიას ერთწლიანი მუშაობის ანგარიში და იმპროვიზებული ლიტერატურულ-მხატვრული პროგრამა წარუდგინეს.

შეხვედრას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრი **დავით ფაცაცია**, ა(ა) იპ ქართველთა და აფხაზთა ერთობის საზოგადოების „ერთობა ხვალისთვის“ თავმჯდომარე **გიორგი შერვაშიძე**, სახელმწიფო რწმუნებული **ბესიკ ამირანაშვილი**, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი **ირაკლი ლაზარაშვილი**, საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ლომიძე**, სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები და მონაწილე სტუმრები ესწრებოდნენ.

(ვრცელ ინფორმაციას და ფოტორეპორტაჟს ღონისძიების შესახებ იხილავთ გაზეთის შემდეგ ნომერში)



მხარდაჭერა, რომელიც მოლოდინებს და გეგმებს რეალურად აქცევს

მაკა ბერიძე

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

განსხვავებული განცდები, რწმენა და მოლოდინები გააჩინა ბოლო დროს ქვეყნის უდიდესმა წარმატებამ – ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღებამ.

ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს განსაკუთრებულად გაუზარდა ეს ისტორიული ფაქტი, თუმცა უნივერსიტეტისთვის ის სხვა მნიშვნელობის მატარებელია. ევროკავშირის წევრობა წარმატებულ პერსპექტივას უქმნის საქარ-

თველოს, პერსპექტივა კი უპირველეს ყოვლისა ახალგაზრდობასთან ასოცირდება. სწორედ ახალგაზრდობამ უნდა იგრძნოს და საკუთარ თავზე „იგემოს“ ევროპულ სივრცესთან ინტეგრაციის სიკეთე. უნივერსიტეტი ის სივრცეა, სადაც ახალგაზრდობის სული ინრთობა.

გაგრძელება მე-2 გვ.



„არა – ქალთა კალაძობას!“

ბუღავაძე-პატარაკაციშვილის ფონდი – მომავლის განათლების საქმეში



მეცნიერების საერთაშორისო დღე და... „წარიღები სტამბოლის ქართული სავანიდან“

მ.3.5

„ყველას ძალაში, სიყვარულის ძალაში“



ღმის ალესრულა საიდუმლო უცხო და დიდებული. და ამობრწყინდა ცაზე მოკაშკაშე ვარსკვლავი, რომლის ბრწყინვალეობას თან ანგელოზთა გალობა ერთვოდა.

„დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება.“

ანგელოზმა ახარა ქვეყანას მოვლინება მხსნელისა. ამ იდუმალებაში გულით უბრალო მწყემსებმა იხილეს ბაგაში ჩვილი, რომელსაც კაცობრიობისათვის მოჰქონდა მშვიდობა, სიხარული, იმედი და მარადიული ცხოვრება.

უსაზღვროა ეს სიხარული, ისე როგორც უსაზღვროა მაცხოვრის სიყვარული. ჩვენც ამ სიხარულის თანაზიარნი შევთხოვთ უფალს გარდმოგვივლინოს მაღლი და



წყალობა, რომ სიმშვიდე და სიყვარული არ მოკლებოდეს ქვეყნიერებას.

პატივისცემით ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე

შესრულებულ და სამომავლო გეგმეზა

მ.3.5

„აღამიანის პიროვნებაში მთავარი ღი რსება“

მ.3.7



მ.3.10

თამარ აბრამიშვილი: სკოლისა და უნივერსიტეტის კავშირი უნივერსიტეტისათვის

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ყარსის კავკასიის უნივერსიტეტს შორის დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, 2023.12.04-2023.12.15 სჯსუ-ს ვეტერინარიისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებების 15 სტუდენტი სასწავლო მიზნით ყარსის კავკასიის უნივერსიტეტში იმყოფებოდა.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი, ვეტერინარიისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებების პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები თბილისი, მეგობრული მიღების, ნაყოფიერი თეორიული და პრაქტიკული მუშაობისა და პროფესიული გამოცდილების უმურველი გაზიარებისთვის ყარსის კავკასიის უნივერსიტეტის რექტორატს, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს დიდ მადლობას გადაუხდინ და თავიანთ პატივისცემას უდასტურებენ.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატი და თურქული ფილოლოგიის პროგრამის პერსონალი მადლობას უცხადებენ ინგლისური და თურქული ფილოლოგიის სტუდენტებს – ალინა გაბრელიანს, ვარსენიკ ვართანიანსა და ნინო ზედგინიძეს ყარსის კავკასიის უნივერსიტეტში წარმატებული პროფესიული მომზადებისა და სჯსუ-ს ღირსეულად წარმოჩენისათვის და უსურვებენ მათ დიდ წარმატებებს სწავლასა და პირად ცხოვრებაში.



„არა - ქალთა ძალადობას!“

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი გლობალური კამპანიის ფარგლებში, 6 დეკემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს პარლამენტის დეპუტატები - ქალთა ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე **ნინო წილოსანი**, ორგანიზაციის წევრი **გრეტა წინავა** და სამცხე-ჯავახეთის ქალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი **ინა კაპანაძე** ესტუმრნენ და საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამართეს. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მაკა ბერიძე** მისალამა. მადლობა მოახსენა მათ აღნიშნული თემით დაინტერესებულნი და გენდერული ძალადობის წინააღმდეგ გამართულ კამპანიაში მონაწილეობის მიღებისთვის.

დღეს საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხებზე გვექნება საუბარი. ეს არის ქალთა მიმართ ძალადობა. მისასაღმებელია, რომ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში ჩვენს უნივერსიტეტს ენიჭებენ მნიშვნელოვან სტუმრები. ისინი გენდერული ძალადობის წინააღმდეგ არსებულ საკითხებზე დამსწრე საზოგადოებას საინტერესო ინფორმაციას მიაწვდიან. ჩვენი სტუმრები მზად არიან, მონაწილეობა მიიღონ დისკუსიაში. - აღნიშნა ქალბატონმა მაკამ.

გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციაზე, სახელმწიფოში არსებულ საკანონმდებლო და სამართლებრივ მექანიზმებზე ისაუბრეს მობრძანებულმა სტუმრებმა. **დღევანდელი ჩვენი შეხვედრა იმართება 16 დღიანი საერთაშორისო კამპანიის ფარგლებში. ვისაუბრებთ ქალთა მიმართ ძალადობაზე, ოჯახში გენდერული ნიშნით ძალადობაზე და სხვა ბევრ საინტერესო თემაზე. 2017 წელს, როდესაც მოხდა სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება, ამ ფაქტმა შევალა ჩვენი შეხედულებები, კანონმდებლობა, რეაგირების მექანიზმები, მომსახურების სერვისები. საზოგადოების დამოკიდებულება ამ თემასთან დაკავშირებით, ზუსტად ამ წლიდან იწყებს აქტუალიზებას. ერთობლივი ბრძოლით და შრომით არის შესაძლებელი, მივალნიოთ უკეთესობას. მჯერა, დღევანდელი შეხვედრა დინამიური გამოვა და გაიმართება საინტერესო**

დისკუსია. - აღნიშნა ნინო წილოსანი.

ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე პრევენტაციები გამართეს სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორმა **გრიგოლ კაპანაძემ** და ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორმა **გიორგი ბეგაშვილმა**. ქალთა მიმართ ძალადობის საკითხები მიმოიხილა აბასთუმნის ფილტვის ცენტრის დირექტორის მოადგილემ **სოფო ხაუომიამ**. დამსწრე საზოგადოებამ ქალთა ძალადობის თემაზე მოისმინა იურიდიული ფაკულტეტის სამართლის პროგრამის მეთორე კურსის სტუდენტის **ლიზი თევდორაშვილის** პრეზენტაცია. გაიმართა დისკუსია, რომელსაც ქალთა ორგანიზაციის გამგეობის წევრი **გრეტა წინავა** გაუძღვა. გამოითქვა საინტერესო მოსაზრებები.

უნივერსიტეტში ღონისძიების გამართვამდე, სტუმრები ახალქალაქში უნივერსიტეტის მესამე სასწავლო კორპუსს ენიჭებენ, დაათვალიერეს რეაბილიტირებული მეოთხე კორპუსი, რის შემდეგ საკონფერენციო დარბაზში გადაინაცვლეს.

ღონისძიებაზე შეკრებილი საზოგადოებას მიესალმა და უნივერსიტეტის შესახებ პრეზენტაცია გააკეთა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა **მაკა ბერიძემ**. ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე ისაუბრეს **ნინო წილოსანი**მა, **გრეტა წინავამ**, **ინა კაპანაძემ** და ნინოწინავის მუნიციპალიტეტის მერმა **ანი მოსოიანიამ**. შემდეგ, მოისმინეს ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მესამე კურსის სტუდენტების - **ნინო კოპალაძისა** და **დიანა საპარინის** პრეზენტაცია ნაადრევი ქორწინების შესახებ.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კამპანია მსოფლიოში, 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით, 1991 წლიდან იმართება. კამპანიას მსოფლიოს 187 ქვეყანა და 5000-ზე მეტი ორგანიზაცია აღნიშნავს. კამპანიის მიზანი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოებისა და საგანმანათლებლო წრეების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლების, ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის დამცველების თემის ირგვლივ ერთიან დისკუსიაში ჩართვა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების გზით ძალადობის პრევენციის ხელშეწყობა.

ჩვენი კორესპონდენტი

მხარდაჭერა, რომელიც მოლოდინებს და გეგმებს რეალობად აქცევს

მაკა ბერიძე
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

პირველი გვერდიდან

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარება და სამომავლო საქმიანობა ყოველთვის იგეგმებოდა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოების პერსპექტივით. ახლა ეს კიდევ უფრო ინტენსიურ სახეს მიიღებს. ყოველთვის გათვალისწინებით უკვე შეიძლება გამოიკვეთოს 2024 წლის პრიორიტეტი - **ეს იქნება ინტერნაციონალიზაცია**.

ინტერნაციონალიზაციის პროცესი თავისთავად მრავალმხრივია და ასევე კომპლექსური მიდგომა ექნება უნივერსიტეტს ამ კუთხით.

პირველ რიგში დაიგეგმება ინტერნაციონალიზაციის პროცესების დაწესება-გაღრმავება და ხელშეწყობა განათლების ყველა საფეხურზე - უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში და პროფესიული განათლების საფეხურზე. თუ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში მეტ-ნაკლებად პროცესი დაწყებულია, ჩამოყალიბებულია კონტაქტები, მოაზრებულია სანდო პარტნიორები და გამოკვეთილია მიმართულებები, პროფესიული განათლებაში უნივერსიტეტისთვის ინტერნაციონალიზაცია სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტი პროფესიული პროგრამების განხორციელების კუთხით ახლა დგამს სერიოზულ ნაბიჯებს, საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით ჯერ პარტნიორთა მოძიება და სხვათა საუკეთესო გამოცდილების გაზიარების ეტაპზეა.

კიდევ უფრო მეტი, გაორმაგებული ძალისხმევა საჭირო კვლევების ინტერნაციონალიზაციის კუთხით. ეს საკითხი პირდაპირ არის დაკავშირებული ახალგაზრდა მკვლევრების ჩართულობასთან. საჭიროა რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდის დაინტერესება კვლევებით, რაც ბაკალავრიატთან დაკავშირებულია და ახალგაზრდას ხელახლა აკრედიტაციის დროს დაუბრუნდა საბაკალავრო ნაშრომი, როგორც სავალდებულო სასწავლო კურსი. ნელ-ნელა იკეთება მიმართულებები, სადაც უფრო ღრმად საერთაშორისო ურთიერთობები, სადაც ინტენსიური კონტაქტები ევროპულ უნივერსიტეტებთან.

იყო პერიოდი, როდესაც ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში სტუდენტთა და პერსონალის მობილობის შესაძლებლობა ჩვენს უნივერსიტეტს არ ჰქონდა. შემდეგ ეს შესაძლებლობა გაჩნდა, თუმცა სამსუხაროდ, თავი იჩინა დამაფიქრებელმა რეალობამ - არ გამოჩნდა მობილობის მსურველი. საუკეთესო შეთავაზება საფრანგეთის ერთი მრავალსაუკუნოვანი უნივერსიტეტიდან დარჩა უპასუხო. ამ ფაქტს გაანალიზებდა და შესაბამისი რეაგირება სჭირდება.

ინტერნაციონალიზაცია, რა თქმა უნდა, მხოლოდ ქართველ პროფესორთა და სტუდენტთა ევროპაში მივლინებას არ გულისხმობს. ის ორმხრივი პროცესია და უნივერსიტეტში უცხოელთა მიღებაც იგულისხმება. ამ მხრივ უნივერსიტეტს სერიოზული სა-

კითხვის მოგვარება სჭირდება. მათგან ყველაზე დიდი პრობლემა საერთო საცხოვრებლის არქონა და ინგლისურენოვანი პროგრამების შეზღუდული რაოდენობა.

საქართველოს პარლამენტის განთლებებისა და მეცნიერების კომიტეტმა ბატონი გივი მიქანაძის ხელმძღვანელობით განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო რეგიონული უნივერსიტეტების საჭიროებებს, დეტალურად შეისწავლა ქვეყნის მასშტაბით ექვსივე რეგიონული უნივერსიტეტის საჭიროება. თემატური მოკვლევის ანგარიშში: „საქართველოს რეგიონებში მდებარე საჯარო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წინაშე არსებული გამოწვევების განსაზღვრა და მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავება“ წარდგენაზე ცალსახად გაესვა ხაზი მიდგომას, რომ ქვეყნისთვის რეგიონული უნივერსიტეტების განვითარება პრიორიტეტულია, გამოიხატა სერიოზული მხარდაჭერა. შეხვედრას განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ბატონი ნოდარ პაპუკაშვილიც ესწრებოდა, რომელმაც ასევე სრულად დაუჭირა მხარი და გაიზიარა პარლამენტის კომიტეტის მიერ თემატური მოკვლევის შედეგად ჩამოყალიბებული რეკომენდაციები.

სასამოქონო სიახლედ იქცა **საქართველოს მთავრობის უმინისტროს განცხადებით**, რომლის თანახმად სწორედ რეგიონული უნივერსიტეტების პრობლემების გადასაჭრელად, მათ მხარდასაჭერად ბიუჯეტში გაჩნდა ცალკე სივრცე და მოხერხდა გარკვეული ფინანსური რესურსის მობილიზება. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სამი მთავარი პრიორიტეტისთვის მოითხოვა ფინანსური თანადგომა. სამივე მათგანი ინფრასტრუქტურულია და პირდაპირ უკავშირდება საგანმანათლებლო პროცესის გაძლიერებას. ეს პრიორიტეტებია პირველი კორპუსის სახურავი, ახალციხეში საერთო საცხოვრებელი სტუდენტებისთვის და ვეტერინარული კლინიკა. მთავრობის ბოლო გადაწყვეტილებამ სხვა მოლოდინები გააჩინა. შესაძლოა ერთ წელიწადში ვერა, მაგრამ ეტაპობრივად ამ ყველა პრობლემის გადაჭრის მზაობა დავინახეთ და ასევე სიტყვა უკვე საქმედ აქცია ბიუჯეტში გაჩენილმა ფინანსებმა. სხვაგვარ ძალას გვმატებს იმის გააზრება, რომ ჩვენს უკან ჩვენი ქვეყანაა.

მაღე ახალი წელი შემობრუნდება ჩვენს დალოცვილ სამშობლოში. მადლობა ყველას, ვისი ნყალობითაც მშვიდობა გვექნება და მშვიდობა გვექნება. მადლობა უნივერსიტეტის განვითარებისთვის ვინც ძალა არ დაიშურა, იმრომა, მხარი დაგვიჭირა, გაგვადლოედა და გაგვამხნევა.

ვულოცავთ დამდეგ შობა ახალ-წელს ჩვენს სტუდენტობას, პროფესორ-მასწავლებლებს, ადმინისტრაციას, ჩვენს გულშემატკივრებსა და მხარდაჭერებს. ვულოცავთ ჩვენს დიდებულ სამშობლოს, მის თითოეულ მოქალაქეს! ქვეყნისთვის ისასილოთ ყველა სურვილის ასრულების, მოლოდინის გამართლების, შრომისა და წარმატების ყოფილიყოს ახალი წელი!





სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცნიერების საერთაშორისო დღე აღინიშნა. ამ დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, 10 ნოემბერს, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების გარდა, მონაწილეობდნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ხელმძღვანელი პირები და მეცნიერ-თანამშრომლები, რომლებმაც წიგნის – **„წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“** – მეორე ტომის პრეზენტაცია გამართეს. ღონისძიებას განსაკუთრებული პესონა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერტუს პროფესორის **შუშანა ფუტყარაძის** მობრძანებამ, რომელმაც ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის შემდეგ, პირველმა მოახერხა ისტორიული ტოპოკლარჯეთის ქართული სოფლების მონახულება და იქაური ძირძველი ქართველებისაგან ფოლკლორული, დიალექტოლოგიური, ეთნოგრაფიული და ისტორიული ღირებულების მქონე ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ჩანერა. იმ დროს, სტამბოლში, ქალბატონი შუშანა შეხვდა ქართველ ქველმოქმედსა და ბიზნესმენს **პავლე ზაზაძეს** და მის შვილს – ბატონ **სიმონ ზაზაძეს**, რომლებმაც უპატრონეს სტამბოლში ობლად დარჩენილ ქართულ მონასტერს, სადაც განთავსებული იყო მდიდარი ბიბლიოთეკა და არქივი.

მავლებს წინაპართა საქმის ღირსეულად გაგრძელებისათვის. პავლე ზაზაძის შთამომავალმა ნატალია ზაზაძემ მადლობა მოახსენა შეკრებილ საზოგადოებას მისი წინაპრების საქმიანობის დაფასებისათვის. მადლიერება გამოხატა იმ ფაქტის გამო, რომ ამ დღის აღნიშვნაში თავადაც იღებს მონაწილეობას. ასევე, განაცხადა, რომ წინაპრების დანაყებულ საქმეს დიდი რუდუნებით აგრძელებს და ცდილობს, შეინარჩუნოს სტამბოლში პაპარა საქართველო. ქალბატონმა ნატალიამ განაცხადა, რომ ის მზად არის ქართველი მკვლევრებისთვის ნებისმიერ დროს გააღოს სტამბოლის ქართული სავანის კარი.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ** მეცნიერების საერთაშორისო დღე მიულოცა დამსწრე საზოგადოებას და ისაუბრა შუშანა ფუტყარაძის ღვაწლის შესახებ. აღნიშნა, რომ იმ დროს, როდესაც თურქეთში შესვლა რთული იყო, სწორედ მაშინ, ქალბატონი შუშანა იბრძოდა, რომ იქიდან ქართუ-

ბოლში წასვლა და იქაური ქართველების შესწავლა. დამსწრე საზოგადოებას მოუთხრო, თუ როგორ მოიპოვა ვიზა, საბჭოთა პერიოდის დროს, თურქეთის რესპუბლიკაში გამგზავრებისთვის და როგორ მიაგნო სტამბოლში პავლე ზაზაძესა და მათ მიერ შენახულ უნიკალურ მასალას. გაიხსენა, რომ პავლე ზაზაძეს ჰქონდა დაგეგმილი საქართველოში ჩამოსვლა და სურდა სოფელ უდესთან ხევში ჩამომავალი იმ ცივი წყლის დაღვევა, რომელსაც სიზმარში ხშირად ნახულობდა. თუმცა, მისი ნატურა ოცნებად დარჩა; ბატონი პავლე მალე გარდაიცვალა. ქალბატონმა შუშანამ ისაუბრა პავლე ზაზაძის შვილის – სიმონ ზაზაძის შესახებაც, რომელმაც ღირსეულად გააგრძელა მამის საქმე: **„ზაზაძეების ოჯახის არის პატარა საქართველო სტამბოლში და შვილები ღირსეულად განაგრძობენ ბაბუისა და მამის**

მონმეა სულის ბიოგრაფიისა“. მან, ასევე, მიმოიხილა წიგნში მოცემული წერილები და ისაუბრა მათ ავტორებზე.

ნაილი ჩელებაძემ გამოსვლა ახალგაზრდებისადმი მიმართვით დაიწყო და აღნიშნა, რომ დიდი წინაპრები – ზაზაძეები, რომელთა სახელებიც ღონისძიებაზე არაერთხელ გაჟღერდა, საუკუნეების მანძილზე იცავდნენ იმ საგანძურს, რომელსაც „საქართველოს გადარჩენა“ ჰქვია. ზაზაძეებმა შთამომავლობას შემოუწინეს არა მხოლოდ საქართველოს არაერთი დოკუმენტი, არაერთი რეალური ისტორია, არამედ ქართული ემიგრაციის, იმ ქართველი მოღვაწეების შესახებ, რომლებიც მთელ მსოფლიოში იყვნენ გაფანტული. ქალბატონმა ნაილიმ მადლობა მოახსენა ყველა იმ ადამიანს, ვინც დაინიშნა ქართველი გააცოცხლეს და ჩვენამდე მოიტანეს. **ახალგაზრდებს აქვთ საშუალება, აიღონ ეს წიგნები და დაინიშნონ კვლევა თითოეულ წერილზე.** – აღნიშნა მან.



მეცნიერების საერთაშორისო დღე და... „წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“



ხელით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ყველა იმ პიროვნების მიულოცა მეცნიერების საერთაშორისო დღე, ვინც ღირსეულად ატარებს მეცნიერის სტატუსს. აღნიშნა, რომ უნდა გაიზარდოს სახელმწიფოსა და საზოგადოების როლი სამეცნიერო კვლევებისათვის სათანადო პირობების ხელშეწყობის საქმეში. ბატონმა როინმა ისაუბრა ქალბატონი შუშანას გუნდის მიერ სტამბოლის ქართულ სავანეში არსებული ბიბლიოთეკისა და არქივის აღწერის, ასევე, მუყაოს ყუთებში გადარჩენილი მასალების განლაგებისა და შენახვის საქმეში. დამსწრე საზოგადოებისათვის სიურპრიზი აღმოჩნდა სტამბოლიდან პავლე ზაზაძის შთამომავლის – **ნატალია ზაზაძის** მიმართვა, რომელიც ონლაინ რეჟიმში განხორციელდა.

მეცნიერების საერთაშორისო დღის დაარსების მნიშვნელობასა და საზოგადოებაში მეცნიერების როლზე ისაუბრეს პროფესორ-მასწავლებლებმა. აღნიშნა, რომ სამეცნიერო ასპარეზზე აუცილებელია ახალგაზრდა მკვლევრების გამოჩენა. მეცნიერებმა, ასევე, ისაუბრეს სტამბოლის ქართული სავანის მნიშვნელობის შესახებ. გაიხსენეს სავანეში განთავსებული საქმიანობა და ერთხმად აღნიშნეს პავლე ზაზაძისა და მისი შთამომავლების როლი ქართული უნიკალური მასალების გადარჩენისა და შენახვის საქმეში. დამსწრე საზოგადოებისათვის სიურპრიზი აღმოჩნდა სტამბოლიდან პავლე ზაზაძის შთამომავლის – **ნატალია ზაზაძის** მიმართვა, რომელიც ონლაინ რეჟიმში განხორციელდა.

წიგნის – **„წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“** მეორე ტომის პრეზენტაცია წარადგინეს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის დიალექტოლოგიის განყოფილების უფროსმა, ფილოლოგიის დოქტორმა **ელზა ფუტყარაძემ** და ემიგრანტული ლიტერატურის განყოფილების უფროსმა, ისტორიის დოქტორმა **ნაილი ჩელებაძემ**.

ელზა ფუტყარაძემ აღნიშნა, რომ წიგნში წარმოდგენილი მასალა მცირე ნაწილია იმ დიდი საგანძურისა, რომელსაც სტამბოლის ქართული სავანე ინახავს და გაიხსენა ის სულისშემძვრელი ჩანაწერები, რომელიც „უტყვი

მეცნიერების საერთაშორისო დღისა და წიგნის „წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“ მნიშვნელობაზე ისაუბრეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა – **მაკა შონია, ნატო ყრუაშვილმა**, სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის დირექტორმა **ციური ლაფაჩია** და ისტორიკოსმა **რევაზ ანდლულაძემ**.

ქალბატონმა მაკა შონიამ აღნიშნა, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს სასაზღვრო ზონაში ყოფნის გამო, მეცნიერების ფუნქცია აქვთ. მობარულია, რომ მასწავლებელთა დანაყებული გზა გრძელდება ახალგაზრდების მიერ. ხაზი გაუსვა უნივერსიტეტში უფროსი თაობის პროფესორთაგან ერთერთი წარმომადგენლის, ქალბატონი შუშანა ფუტყარაძის სტუმრობას და აღნიშნა, რომ ვინც ქალბატონი შუშანას მსგავსად ცდილობს, შეისწავლოს მათი წინაპრების ისტორია, ის დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებს.

რევაზ ანდლულაძემ აღნიშნა, რომ წიგნში, რომლის პრეზენტაციაც მეცნიერების საერთაშორისო დღეს შედგა, ავტორებმა გააცოცხლეს მისი ოთხი წინაპრის სახელი და გვარი, რისთვისაც მადლობა მოახსენა მათ.

ქალბატონმა ციური ლაფაჩია და ქალბატონმა ნატო ყრუაშვილმა გაიხსენეს სტამბოლის ქართულ სავანეში ყოფნის პერიოდი და მადლობა მოახსენეს შუშანა ფუტყარაძეს, რომლის დასახურებითაც მიეცათ საშუალება, შეესწავლათ მესხი წინაპრების ნაკვალევი. ერთხმად აღნიშნეს, რომ წიგნში უდიდესი შრომაა ჩადებული და რომ არა ეს ადამიანები, ეს წიგნი ვერ შედგებოდა.

ღონისძიებაზე კიდევ ბევრი სამადლობელი სიტყვა ითქვა ქალბატონი შუშანასა და მისი გუნდის მიმართ; კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი მეცნიერთა როლს ქვეყნის განვითარების საქმეში. სტუმართა მხრიდან აღინიშნა, რომ საზოგადოება უახლოეს მომავალში იხილავს წიგნის – **„წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“** მესამე ტომს.

ლიკა ზაზაშვილი





სამედიის უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 28 ნოემბერს, გაიმართა სტრატეგიული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე – „ინფორმაციული ტექნოლოგიები და მათი გამოყენება II“ – International Scientific Conference – „Usage of Information Technologies II“. კონფერენცია გამორჩეული ვახლდითი როგორც თემების მრავალფეროვნებითა და თანამედროვე ციფრულ ინფრასტრუქტურაში არსებული სახელმწიფო სამართლებრივი, ასევე, მასშტაბურ ბიზნესის, მასშტაბური, საქართველოს უმაღლესი დანესტრუქტურების გარდა, საზღვარგარეთის სხვადასხვა უნივერსიტეტების ბაკალავრების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მიღება. კერძოდ, კონფერენციის მუშაობაში ჩაერთვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ასევე, სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტის, აზერბაიჯანის სახელმწიფო აგარული უნივერსიტეტის, უნგრეთის – დებრეცენის უნივერსიტეტის სტუდენტები. კონფერენციის მოდერატორები იყვნენ ქალბატონები **ლელა ნიაშვილი** და **თამარ კახაიძე**.

კონფერენცია გახსნა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოციირებული პროფესორმა **ლელა ნიაშვილი**. მან აღნიშნა, რომ გასული წლის კონფერენციისგან განსხვავებით, რომელიც წარმოდგენილი იყო 17 მომსწიფელი, წელს ეს რიცხვი 22-მდე გაიზარდა. მინდა, **მადლობა გადავუხადო ჩვენს კოლეგებს – თელავის, თბილისის ტექნიკური, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, რომლებიც ყოველთვის ჩვენ გვერდით არიან, მონაწილეობენ ჩვენს ღონისძიებებში და იზიარებენ ჩვენს სიახლეებს. ასევე, მადლობა კონფერენციის მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებს, რომელთა მოხსენებებიც, დარწმუნებული ვარ,**

საინტერესო იქნება და მეტ ინტერესს შექმნის კონფერენციას.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **ლევან მაკარაძე**, დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი **ლერი ნოზაძე**, პროფესორი **გიორგი მესხი** და ასოცირებული პროფესორი **ვასილ ტაბაძაძე**. პროფესორმა **ლევან მაკარაძემ** მადლობა მოახსენა პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებმაც ორგანიზება გაუკეთეს ასეთ მასშტაბურ სა-

და თითოეულ სტუდენტს კონფერენციაში მონაწილეობისათვის და აღნიშნა, რომ ახალგაზრდებისათვის დასამახსოვრებელი იქნება ასეთი შეხვედრები მთელი ცხოვრების მანძილზე: **პირველი ნაბიჯები განსაზღვრავს შემდგომ წარმატებებს. მინდა, მადლობა ვუთხრა ჩვენს მეგობარ უნივერსიტეტებს, ჩვენს კოლეგებს, რომლებიც ჩაერთვნენ დღევანდელ კონფერენციაში. ფართო დიაპაზონის მასალებია წარმოდგენილი კონფერენციაზე და იმედი მაქვს, რომ დღევანდელი მუშაობა იქნება ნაყოფიერი.**

ისაუბრეს ხელოვნური ინტელექტის ქვედარგზე – მანქანურ სწავლებაზე, განიხილეს მონაცემთა ბაზების კომპიუტერული მოდელირება MS Access-ში იურიდიული საქმის წარმოების მაგალითზე, ასევე, წარმოადგინეს მოხსენება კორელაცია/რეგრესიის კომპიუტერული მოდელირების ეკოლოგიური მონაცემთა მაგალითზე, ისაუბრეს თანამედროვეობისა და მომავლის ტექნოლოგიებზე, დამსწრე აუდიტორიას გააცნეს სტუდენტების სერვისის მართვის აპლიკაცია სასტუმროს მაგალითზე. საუბარი შეეხო

უნივერსიტეტის დოქტორანტების ომერ ფარუკ ალფერენის და ენრი სეზანის თემები. საინტერესოდ წარმოადგინეს „მარკეტინგული პროცესების მართვის კომპიუტერული მოდელირების საქართველო ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის I კურსის სტუდენტებმა ნიკოლოზ აბრამიძემ და თამარ ხოჭოლაძემ. ღრმად შინაარსიანი იყო ამავე უნივერსიტეტის პროგრამული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტის ნინო წიკლაურის მიერ წარმოდგენილი საკითხი. საინტერესო ვახლდითი თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტის ნინო ლომოვის, ეკოლოგიის, ეკოლოგიის სამაგისტრო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტის ცისანა კოლოტაძის მიერ გაკეთებული პრეზენტაცია იყო. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროგრამული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის მე-4 კურსის სტუდენტის ირაკლი მეგრელიშვილის მიერ დამუშავებული სტუდენტების სერვისის მართვის აპლიკაცია სასტუმროს მიმღებისათვის. ჩვენი თანამემამულე, ფიზიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის მე-3 კურსის სტუდენტი ელენე მესხი უნგრეთიდან, დებრეცენის უნივერსიტეტიდან ჩაგვეერთო საინტერესო მოხსენებით.

ორიგინალური და მრავალმხრივ საინტერესო იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრიატის მე-3 კურსის სტუდენტის ნიკოლოზ რობაქიძის პრეზენტაცია. შემდგომ კი ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებმა მოხსენებათა ნამდვილი ფიერებები გა-მართეს. ვფიქრობ, კონფერენცია ღირსეულად, მთელი უნივერსიტეტისთვის საბაკალავრო, სასახელოდ შედგა, რაც უპირველესად ადმინისტრაციის, ორგანიზატორების, მოდერატორების, მეგობარი უნივერსიტეტების მხარდაჭერით განხორციელდა და დაუფინანსო მოგვენად იქცა კონფერენციის თითოეული მონაწილისთვის.

აღინიშნა, რომ კონფერენცია მომავალ წელსაც იგივე მასშტაბით გაიმართება და დამსწრე საზოგადოებას არაერთ საინტერესო მოხსენებას შესთავაზებს.

სტუდენტთა სწავლას სწავლობს სწავლობს სწავლობს სამედიის უნივერსიტეტი

მეცნიერო კონფერენციას. აღნიშნა, რომ ამ მიმართულებაში ეს არ არის პირველი კონფერენცია, რაც მიუთითებს ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით ფაკულტეტის აქტიურობასა და გამორჩეულობაზე: **მიხარია, რომ გვყავს სტუდენტები, რომლებიც გამოირჩევიან სამეცნიერო კვლევის ინტერესით.** ახალგაზრდებს ეძლევათ შესაძლებლობა, რომ ნელა-ნელა აიღვანონ ფეხი იმ მიმართულებით, რასაც ქვეყანა სამეცნიერო, შემდგომში პედაგოგიური მოლოცვებით. კონფერენცია ახალგაზრდებს აძლევს შესაძლებლობას, მოიძიონ მასალები. კონფერენცია უფითარებთ მათ ანალიზის, აუდიტორიასთან ურთიერთობის უნარებს. კონფერენცია საუკეთესო საშუალებაა იმისა, რომ მასში მონაწილე სტუდენტები დაუმეგობრდნენ ერთმანეთს. სამომავლო წინსვლისთვის აუცილებელია უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობა.

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებული პროფესორმა **ლერი ნოზაძემ** მადლობა გადაუხა-

პროფესორმა **გიორგი მესხმა** გაიხსენა ის პერიოდი, როდესაც ფაკულტეტი მსგავსი შინაარსის კონფერენციებს მართავდა, რამაც შექმნა იმისი წინაპირობა, რომ ამ მიმართულებით გახსნილიყო სადოქტორო პროგრამა: **დიდი დღეა დღეს. ჩვენ ამ დღესათვის მოვედით მხარეებზე, ისაუბრეს ქართული ხელნაწერი ტექსტის ოპტიკური ამომცნობი ალგორითმის შესახებ და სხვა. ყოველი მოხსენების შემდეგ, იმართებოდა დისკუსია. თემების წარმდგენებს არაერთ კითხვაზე უნედათ პასუხის გაცემა.**

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა ასოცირებული პროფესორმა **ლერი ნოზაძემ**: კონფერენციაზე მოსმენილი იქნა 28 მონაწილის 22 მოხსენება, რომლებიც საკითხთა ფართო სპექტრს მოიცავდა. კერძოდ, მოხსენებები ეხებოდა როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების მართვას, ასევე, განათლებაში, ფიზიკაში, მედიცინაში, ვეტერინარიაში და აგრონომიაში. **პირველად გამოხვალის პატივი სტამბოლის უნივერსიტეტელ მონაწილეს ერვით და მოვისმინეთ ინფორმაციისა და კომუნიკაციის ინ-**

სიეს საკითხებს, რომლებიც ეხება პროგრამული უზრუნველყოფის არქიტექტურას და პროექტირების პრინციპებს; სტუდენტებმა ისაუბრეს 3D ვიდეო თამაშებისა და ინტერაქტიული ტექნოლოგიების განათლებაში გამოყენების დადებით მხარეებზე, ისაუბრეს ქართული ხელნაწერი ტექსტის ოპტიკური ამომცნობი ალგორითმის შესახებ და სხვა. ყოველი მოხსენების შემდეგ, იმართებოდა დისკუსია. თემების წარმდგენებს არაერთ კითხვაზე უნედათ პასუხის გაცემა.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა ასოცირებული პროფესორმა **ლერი ნოზაძემ**: კონფერენციაზე მოსმენილი იქნა 28 მონაწილის 22 მოხსენება, რომლებიც საკითხთა ფართო სპექტრს მოიცავდა. კერძოდ, მოხსენებები ეხებოდა როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების მართვას, ასევე, განათლებაში, ფიზიკაში, მედიცინაში, ვეტერინარიაში და აგრონომიაში. **პირველად გამოხვალის პატივი სტამბოლის უნივერსიტეტელ მონაწილეს ერვით და მოვისმინეთ ინფორმაციისა და კომუნიკაციის ინ-**

ლიპა ზახაშვილი

ვულკანვით

სამართლებრივ და თურქეთის რესპუბლიკის შორის განათლების სფეროში დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტის თურქოლოგიურ ცენტრებში პრაქტიკულ თურქულ ენას თურქი პედაგოგები ასწავლიან. ერთ-ერთი მათგანი ბატონი **იუსუფ ქუმუზია**, რომელიც 2019 წლიდან სჯსუ-ს ქართველ სტუდენტებთან და კოლეგებთან დიდი მონდობით, კეთილგანწყობითა და ტაქტით თანამშრომლობს.

ბატონი იუსუფი 1982 წელს ქალაქ გაზიანთეფში დაიბადა. მშობლიურ ქალაქში დაამთავრა სკოლა, ხოლო 2003 წელს – ქ. კანისერის ერაქისის უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტი თურქული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სპეციალობით. 2006 წელს ქ. ბურსაში თურქული ენის მასწავლებლად დაინიშნა მუშაობა. მოგვიანებით ქ. ქუთაისის დუმლუფინარის უნივერსიტეტში განათლების სამაგისტრო პროგრამის კურსი გაიარა.

ჩვენი კოლეგა დაოჯახებულია, 2 ვაჟი ჰყავს. 2023 წლის დეკემბერში ი. ქუმუზია წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ქ. სტამბოლის ილიზის ტექნიკური უნივერსიტეტის განათლების პროგრამაზე. მისმა ნაშრომმა – „თურქული ენის, როგორც უცხო ენის სწავლება საქართველოში (პრობლემები და მათი გადაჭრის გზები)“ სადისერტაციო-სამეცნიერო სამსახურს მონაწილეობა დაიმსახურა და მას ფილოლოგიის დოქტორის წოდება მიენიჭა.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ბატონ იუსუფ ქუმუზს ულოცავენ სადოქტორო დისერტაციის წარმატებით დაცვას. უსურვევენ ახალ, დიდ მიღწევებს პროფესიულ საქმიანობაში და პირად ცხოვრებაში.



● **13 ნოემბერს**, სჯსუ-ს პირველი კორპუსის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიმართა განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის, პოლიტოლოგ **ურა ბლუაშვილის** საჯარო ლექცია თემაზე: **„ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის ისტორიული ასპექტები“**.

ლექციას ესწრებოდა უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, თემით დაინტერესებული სტუდენტები.

მომხსენებელმა ვრცლად ისაუბრა 75-წლიანი კონფლიქტის შესახებ, რომელშიც ისრაელ-პალესტინასთან ერთად გარეშე ძალებიც არიან ჩართულნი და რომელიც მთელ შუა აღმოსავლეთში იწვევს ვითარების დესტაბილიზაციას, დანგრეობითი განმარტება გააკეთა, აგრეთვე, კონფლიქტის წარმოშობის ისტორიულ ასპექტებს.

დასასრულს, ლექციამ ინტერაქციული ხასიათი მიიღო. სტუდენტებმა არაერთი შეკითხვა დაუსვეს მომხსენებელს.

● **15 ნოემბერს**, საერთაშორისო განათლების კვირეულის ფარგლებში, ამერიკული განათლების კონსულტანტისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დოქტორის **თინათინ ვარდიძის**, მონვეული მშვიდობის კორპუსის მოხალისე **ბილი ჩანის** ორ-

ინფორმაცია

განიხილეს სტუდენტებისათვის ჩატარდა საჯარო საშუალო შეხვედრა თემაზე: **„როგორ დავწეროთ სამოტივაციო წერილი ამერიკული გაცვლითი პროგრამებისათვის“**, რაც ხელს შეუწყობს სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის სტუდენტებს, წარმატებით შეავსონ განაცხადი ამერიკის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებული გაცვლითი პროგრამებისათვის.

● **16 ნოემბერს**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა შიდასახელმწიფო ტექნოლოგიური შეხვედრა დასაუნივერსიტეტო ჩემპიონატის ფინალში ფრენბურთით.

ერთმანეთს განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა და ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გუნდები დაუპირისპირდნენ. გამარჯვება მოიპოვა განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის გუნდმა, რომელსაც გადაეცა გარდამავალი თასი და სიგელი. ასევე, სიგელებით დაჯილდოვდნენ მეორე (ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი) და მესამე (იურიდიული ფაკულტეტი) ადგილის მფლობელი გუნდები.

● **20 ნოემბერი – მსოფლიო ბავშვთა დღე!** ეს დღე აღინიშნა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვთა უფლებების ცოდნის ცენტრში, სადაც დანწყობითი საფუძრის მასწავლებლის მომხადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებმა იმსჯელეს ბავშვთა უფლებების შესახებ, ცენტრის საქმიანობაზე, თავიანთ როლზე ბავშვის უფლებების შესახებ ცნობადობის ამაღლებაში. ასევე, მათ შეიმუშავეს რეკომენდაციები, თუ როგორ შეიძლება ცენტრი უკეთ ჩაერთოს აკადემიურ საქმიანობაში.

მსოფლიო ბავშვთა დღე გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ დაწესებული დღეა, რომელიც მონდობულია ბავშვებისთვის გლობალური მოქმედებისკენ ბავშვების მონაწილეობით. ეს დღე ყოველწლიურად 20 ნოემბერს აღინიშნება და ემთხვევა ბავშვთა უფლებათა კონვენციის მიღების დღეს. ჩვენ, ყველამ, ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ ისეთი გარემოს შექმნაში, სადაც ყველა ბავშვი თავს ჩართულად გრძნობს, მოეუბნინოთ მათ და ვუზრუნველყოთ უსაფრთხო გარემო.

საქართველო კონვენციის 1994 წელს შეუერთდა!



● **25 ნოემბერს**, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს, კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის ორგანიზებით, იურისტთა უმაღლესი სკოლის ჩართულობით და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით, სალექციო კვირეული – „ალმაჩინე აფხაზეთი“ – დასრულდა მასშტაბური სემინარით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ღონისძიებას უძღვებოდა ტრენერი, პროფესორი **კახა კვაშილაძე**. სტუდენტები მაქსიმალურად ჩართულნი იყვნენ სალექციო კვირეულის მიმდინარეობაში. მონაწილეობისთვის მათ გადაეცათ სერტიფიკატები.

შესრულებულ და სამომავლო გეგმები

ინტერვიუ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, პროფესორ როინ თათეშვილთან

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 12 დეკემბერს, ჩატარდა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა, სადაც ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფესორმა როინ თათეშვილმა მიმდინარე წლის ბიუჯეტის, დაგეგმილი სამუშაოებისა და აქტივობების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ისაუბრა. მან დეტალურად განიხილა 2024 წლის ბიუჯეტის შემოსავლისა და ხარჯვითი ნაწილი. განხილვის პროცესში დაისვა არაერთი კითხვა, რომლებზეც ბატონმა როინმა ამომწურავად უპასუხა. კენჭისყრაზე დასმულ საკითხს, ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებასთან



დაკავშირებით, წარმომადგენლობითი საბჭოს ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, ბატონ როინს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

- ბატონო როინ, რა ტიპის სამუშაოები განხორციელდა მიმდინარე სასწავლო სემესტრში?

- საუნივერსიტეტო მიზნებისა და ამოცანების შესრულება წარმოუდგენელია თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კლას-ლაბორატორიების გარეშე. ამიტომ, ადმინისტრაციის უპირველესი ზრუნვის საგანია და პროორიტეტად გვაქვს დასახული სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის შესაბამისი სამუშაო გარემოს შექმნისთვის ზრუნვა. ამ მიზნით, შევიძინეთ კომპიუტერები და განახლდა რამდენიმე კლას-ლაბორატორია, აუდიტორიები აღიჭურვა მონიტორებით, პროექტორებითა და სმარტდაფებით. ამ მიმართულებით, 2024 წლის ბიუჯეტის ფარგლებში, კვლავ გაგრძელდება კომპიუტერული ტექნიკის განახლება.

აღსანიშნავია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები განხორციელდება ახალქალაქში ახლად რეაბილიტირებულ მეოთხე სასწავლო კორპუსში. ამ კორპუსის კლას-ლაბორატორიები აღიჭურვა ახალი დამავეჯით და კომპიუტერული სისტემით, მოეწყო ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი აღიჭურვა ვიდეო-საკონფერენციო სისტემით. ასევე, პროფესიული პროგრამების სტუდენტებისთვის გამოიყო საერთო საცხოვრებლის მეორე სართული, რომელიც გათვალისწინებულია 50 სტუდენტზე. ოთახები დაკომპლექტდა დამავეჯით, თეთრეულით და საყოფაცხოვრებო ინვენტარით.

უნივერსიტეტში, სწავლასთან ერთად, განსაკუთრებული როლი ენიჭება სამეცნიერო კვლევებს. ამიტომ, კვლევებისათვის საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, 2024 წლის ბიუჯეტში ეს მიმართულება ერთ-ერთ პრიორიტეტად განისაზღვრა.

ასევე, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკის მოსაწყობად, ჩატარდა სარემონტო სამუშაოები სამ ლაბორატორიულ ოთახში, მოეწყო საკანალიზაციო და წყლის სისტემა, მომზადდა პროექტი ფინანსური რესურსის მოძიების მიზნით, რა-

თა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კლინიკა აშენდეს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე.

- როგორც ვიცით, მეორე სასწავლო კორპუსში მოგვარდა წყლის პრობლემა.

- წლების განმავლობაში, მეორე სასწავლო კორპუსში პრობლემა იყო წყლის მომარაგების სისტემასთან დაკავშირებით, რის გამოც, უნივერსიტეტი ხშირად აღმოჩენილა უხერხულ სიტუაციაში. ასევე, მეორე კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე ფუნქციონირება დაიწყო ვეტერინარიის პროგრამის კლინიკამ, რომელიც მუდმივ წყალს საჭიროებს. ასევე, მეორე სასწავლო კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე არის სასწავლო-საცდელი ნაკვეთი და კვლევების ჩატარების დროს, სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს უწყლობის გამო, ხშირად უშლებოდათ ხელი. ამიტომ, გადაწყდა გაკეთებულიყო არტერიული წყა. 62 მეტრზე მოხდა მისი გათხრა. ეს წყალი გამოიყენება არა მხოლოდ ვეტერინარული კლინიკისთვის და სასწავლო-საცდელი ნაკვეთისთვის, წყალი, ასევე, მიენიჭება პროფესორ-მასწავლებელთა საერთო საცხოვრებელს და მეორე სასწავლო კორპუსს.

- რაც შეეხება უსაფრთხოების საკითხებს, იყო გარკვეული მითითებები შესასრულებლად. რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით?

- უნივერსიტეტისთვის უმნიშვნელოვანესია დასაქმებულთა უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა. ამ მიზნით უნივერსიტეტი ახორციელებს არაერთ ღონისძიებას და მუდმივ რეჟიმში აწარმოებს სამუშაო პროცესზე დაკვირვებას შესაძლო უბედური თუ საშიში შემთხვევების გამორიცხვის მიზნით. მეორე სასწავლო კორპუსში განხორციელდა სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის სამონტაჟო სამუშაო, პირველ და მეორე კორპუსში მოეწყო გარე სახანძრო წყალმომარაგების სისტემის სახანძრო ჰიდრანტები. პირველ კორპუსში განხორციელდა კიბის უჯრედებზე დასმული ოთახების დემონტაჟი და შეიცვალა საევაკუაციო გეგმები. უსაფრთხოების დაცვის მიზნით, განხორციელდა ხანძრის იმიტირება და შენობის ევაკუაცია. გაკეთდა მონიტორინგი. ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, მიმდინარეობს სწავლებები და პრაქტიკული ტრენინგები ცეცხლმაქრების გამოყენებისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების კუთხით.

- ადმინისტრაცია გვერძეში უდგას უნივერსიტეტის სტუდენტებს და სტუდენტური თვითმმართველობის იდეების განხორციელებას. როგორი სახის ღონისძიებები ფინანსდება ახალგაზრდებისთვის?

- დაფინანსდა სტუდენტური თვითმმართველობისა და ცალკეული სტუდენტების მიერ დაგეგმილი ღონისძიებები, როგორცაა - საველე პრაქტიკა, შემეცნებითი ექსკურსიები, ლაშქრობები, სპორტული ღონისძიებები, სტუდენტური საღამოები, უნივერსიტეტის ცეკვის ანსამბლის ფესტივალებზე მონაწილეობა, ზამთრისა და საზაფხულო სკოლების აქტივობები, სტუდენტური კონფერენციები, პირველკურსელთა და კურსდამთავრებულთა ღონისძიებები.

უნივერსიტეტი ზრუნავს სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სოციალური საკითხების გადწყვეტაზე, ნახალისებასა და სტიმულირებაზე. უნივერსიტეტი ახორციელებს თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევას, სტუდენტებისათვის სასტიპენდიო ფონდის შექმნას როგორც შიდა სახელმწიფო რესურსით, ასევე, სხვადასხვა ფონდებიდან.

- მადლობა, ბატონო როინ.

*ინტერვიუერი
ლიკა ზაზაშვილი*



„ყველას ქალაქი, სიყვარულის ქალაქი“

ინტერვიუ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერთან - ირაკლი ლაზარაშვილთან

- ჩვენს მკითხველს რომ გაცნობთ თქვენი პიროვნება იმ ტრიბუნაზე, რომელსაც ყოველდღიურად ვერ ვხედავთ. ვინ არის ბატონი ირაკლი ლაზარაშვილი?

- ჩვეულებრივი მოქალაქე, რომელიც დაიბადა ახალციხეში. სკოლა დაავითავერე ახალციხეში. დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასევე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი - სამართალმცოდნეობის დაუსრულებელი ფაკულტეტი. ვმუშაობდი სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურში, საჯარო მოხელის სტატუსით. 2021 წლის ოქტომბრიდან ვარ ახალციხის მერი. მყავს მეუღლე და სამი შვილი.

- გამორჩეულად სასიამოვნოა თქვენი და ქალაქის ახალგაზრდების გულთბილი ურთიერთობა. გავგიზიარეთ, რამდენიმე სიტყვით, თქვენი ემოციები და განწყობა, თქვენი მოლოდინები და იმედიები ახალგაზრდებთან დაკავშირებით.

- მისარია, თუ შეიძინევა ჩემი ურთიერთობა და დამოკიდებულება ახალგაზრდებთან. ყოველთვის მაქვს სურვილი, უფრო მეტი ურთიერთობა მქონდეს. მეც ვიყავი ახალგაზრდა, მეც ვიყავი სტუდენტი და ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ურთიერთობა ხელმძღვანელ პირებთან და წარმატებულ ადამიანებთან. ვფიქრობ, უფრო მეტი კომუნიკაცია გვჭირდება. ამისთვის მე კიდევ უფრო მეტი მაქვს გასაკეთებელი. თვითონ ყველაზე უკეთ იციან, რა სურს ახალ თაობას. შეიძლება ჩვენ გვგონია, რაიმე კონკრეტული სურდეთ, მაგრამ ის უკვე მათთვის აღარ იყოს საინტერესო. მნიშვნელოვანია ის აზრი გამოიტანო, თუ რა შესაძლებელია ახალგაზრდებს.

- ხომ ვერ გაიხსენებდით ერთ ან რამდენიმე შემთხვევას, როდესაც ერთიანი ძალებით ახალგაზრდებთან ერთად შექმნილი იყო რაღაც მუშაობდა მიაჩნდათ.

- ჩემთვის ძალიან საამაყო და მნიშვნელოვანია ახალგაზრდული საბჭო, რომელიც ჩვენ ახალგაზრდებთან ერთად შექმნილია. საბჭო მათ აძლევს პოტენციალს საკუთარი თავების მეტად წარმოჩენისას, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ძალიან მალე ქვეყნის მართვაში წარმატებულად მიიღებენ მონაწილეობას და სხვადასხვა მნიშვნელოვან პოზიციას დაიკავენ კერძო თუ სამთავრობო სექტორში. ისინი მეტად თვითდაჯერებულნი ხდებიან, უკეთ შეუძლიათ საზოგადოებასთან კომუნიკაცია. რა თქმა უნდა, არის სხვადასხვა საინტერესო აქტივობა, მაგრამ ვფიქრობ, რომ კიდევ უფრო მეტად უნდა გავაძლიეროთ ეს პროექტი.

- ახალციხე, როგორც ტოლერანტობის უდიდესი მაგალიტი... რას გვეტყვით ამ მხრივ ქალაქში არსებულ რეალობაზე. თქვენთვის რას ნიშნავს მრავალფეროვანი საცხოვრებელი გარემო.

- ჩემთვის ეს საამაყოა. როდესაც არ ვარ ახალციხეში, როდესაც გვყავს სტუმრები, მე მასზე თამამად და ამაყად ვსაუბრობ. მეამაყება, რომ ვარ ახალციხელი, ახალციხეში გაზრდილი ადამიანი. ჩვენ, სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიის ადამიანები, გავიზარდეთ ერთად, გავიზარდეთ, როგორც თანამოქალაქეები, როგორც ახალციხელები, როგორც საქართველოს შვილები. ეს ფაქტი სრულიად განსხვავებულ და საჭირო შეხედულებებს აყალიბებს იმისთვის, რომ ადამიანმა შეძლოს ყველა თაობასთან ჯან-

სადა ურთიერთობა. ვფიქრობ, ყველა ახალციხელმა უნდა იამაყოს ჩვენი ქალაქით, ამ ტრადიციით, ამ ისტორიით. თამამად შეიძლება ითქვას, ევროპაში რამდენიმე ქალაქი თუ მოიძებნება, სადაც ამხელა კულტურა ჩქევს.

- ნამდვილად! ყველა ახალციხელისთვის უდიდესი სიამაყის განცდაა, ერქვას ტოლერანტი ქალაქის შვილი. ჩვენი ქალაქი უამრავი დეტალით გამოირჩევა. ერთ-ერთი საამაყო და ნამდვილად მნიშვნელოვანი ფაქტია სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობა ქალაქში. ახალციხე სტუდენტური ქალაქის ამბულაში... გვიამბეთ, რა შესაძლებლობები ეძლევათ სტუდენტებს და სამომავლოდ რა სიახლეებს უნდა ელოდნენ ისინი.

- ალბათ, სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობა დამატებითი ფუფუნებაა ქალაქისთვის. გვაქვს სხვადასხვა სხვადასხვა საფეხური, პროფესიული სასწავლებლები და ასე შემდეგ. უმნიშვნელოვანესია ის, რომ ახალციხე საუნივერსიტეტო ქალაქი-ცაა. სტუდენტებთან ერთად ძალიან ხშირად ვახორციელებ სხვადასხვა აქტივობას. რამდენიმე წელია, უნივერსიტეტში სტიპენდიების პროგრამის შეტანის სახით, ჩვენ კიდევ ერთხელ გამოვხატეთ ახალციხელი სტუდენტებისა და უნივერსიტეტის მხარდაჭერა. სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი საინტერესო ინიციატივებში - ქართული ცეკვების შესწავლა და შემდგომ საერთაშორისო ფესტივლებში მონაწილეობა. აღნიშნული ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლი ყალიბდება როგორც არა მხოლოდ უნივერსიტეტის, არამედ უნივერსიტეტისა და ახალციხის ანსამბლი. ესეც აუცილებელი მხარდაჭერა იყო, ყოველშეთხვევაში, მე ასე ვფიქრობ, რადგან უამრავი სტუდენტი იყო ჩართული ამ აქტივობაში. ამას გარდა, რა თქმა უნდა, ბევრი საინტერესო ინიციატივა არსებობს სხვადასხვა განხრით, მათ შორის, სპორტული კლუბები.

- ძალიან სასიამოვნოა ამ ყოველივეს კიდევ ერთხელ მოსმენა. ჩვენ, ახალგაზრდები, ვგრძნობთ და ვფასებთ ამ მხარდაჭერას. დაგვიხსენიეთ ახალციხე 3 სიტყვით.

-ახალციხე სამი სიტყვით? განსაკუთრებული, ყველას ქალაქი, სიყვარულის ქალაქი.

- ჩვენი ქალაქის გამორჩეულობა ყოველთვის თვალშისაცემია, რაც, დიან, სიყვარულისა და პატივისცემის უპირველესი დამსახურებაა. და ბოლოს, უკვე იწურება 2023 წელი. რას უსურვებდით 2024 წლის დამდეგს ძვირფას თანამოქალაქეებს?

- მშვიდობას, უპირველესად. მშვიდობას არ აქვს ალტერნატივა. ურთიერთპატივისცემას, რომ ადამიანებმა მეტად შევძლოთ ერთმანეთის დაფასება და გატანა, შეგვეძლოს მადლიერების გამოხატვა, რათა ურთიერთობაში ერთმანეთის დაფასება არსებობდეს ერთმანეთში. რა თქმა უნდა, ბარაქსა, ჯანმრთელობასა და ყოველივე საუკეთესოს.

- უღრმესი მადლობა საინტერესო, გულწრფელი და მნიშვნელოვანი პასუხებისთვის. დიდ ბედნიერებასა და გამბარ გულს გისურვებთ თქვენ და ჩვენი საოცარი ქალაქის მაცხოვრებლებს.

*ინტერვიუერი რიმბ სუღაძე
ქართული ფილოლოგიის სპეციალისტის
მე-3 კურსის სტუდენტი*



სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, 21 ნოემბერს, პროექტის – “სტუდენტური სტიპენდიები მომავალი პედაგოგებისთვის” – ფარგლებში, გუდავაძე – პატარკაციშვილის ფონდის დირექტორი **ზურაბ კერვალიშვილი** და ფონდის წარმომადგენელი **მაია ჩიტაშვილი** ესტუმრნენ, ფონდის სტიპენდიატების გაცნობისა და მათი მოსაზრებების მოსმენის მიზნით. საქველმოქმედო ფონდის მისიაა, ხელი შეუწყოს ქვეყანაში განათლების სისტემის განვითარებას, განათლების ხარისხის ამაღლებას, სტანდარტების გაუმჯობესებასა და განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ფონდს შორის თანამშრომლობა ოთხი წელია, წარმატებით ხორციელდება და უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ათ წარმატებულ სტუდენტს, რომლებიც ეუფლებიან მასწავლებლის პროფესიას, სტიპენდიას უნიშნავს. სტიპენდიატ სტუდენტებს ფონდი, ასევე, სთავაზობს სხვადასხვა აქტივობებს, რომელიც მათ პროფესიულ ზრდაში ეხმარება.

ლონისძიება განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა **გულიკო ბექაურმა** გახსნა. მან აღნიშნა, რომ ფონდმა პროექტის ფარგლებში საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 100-მდე სტუდენტი დააფინანსა. დღეს ფონდს 65 აქტიური სტიპენდიატია ჰყავს. სასიხარულოა, რომ მათ შორის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებიც არიან.

განათლებაზე დგას ჩვენი ქვეყნის მომავალი. ფონდის წარმომადგენლებს, როგორც განათლების დიდ გულშემოტიკურებს, მინდა დიდი მადლობა გადავხადოთ, რადგან ფონდის ძირითადი საქმიანობა მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის პოპულარიზაცია,

ხელშეწყობა და განვითარებაა. ეს ნიშნავს, რომ დიდი წვლილი შეაქვს ფონდს მომავლის განათლებაში. – აღნიშნა ქალბატონმა გულიკომ.

გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის მნიშვნელობაზე ისაუბრეს ფონდის ყოფილმა და ამჟამინდელმა სტიპენდიატებმა: **მარიამ გელაშვილმა**, **თეონა თათოშვილმა**, **ბარბარე გალიბინმა**, **იზოლდა იანვარიშვილმა**, **მახარე ობოლაძემ**, **შოთა ტიტვინიძემ**, **თორნიკე ბერიძემ**, **ლარისა არაქელიანმა**, **მარგარიტა ტონოიანმა**, **თამარ ბეგოიძემ**, **მარი ბალახაძემ**, **ნანა ჭყეშვილმა**.

ლონისძიებაზე ერთ-ერთი სტიპენდიატის **თორნიკე ბერიძის** ლექსთა კრებულის – “**მომავლის ღიმილის**“ პრეზენტაცია გაიმართა.

ლაში, ორმაგად ძლიერდება სწავლება. როცა ახალგაზრდა იცის ლექსის ფასი, იცის მისი სწავლების ფასი. საინტერესოა თორნიკეს შემოქმედება. დიდ მადლობას მოვასხენებ ფონდს, რომ ასეთ ნიჭიერ სტუდენტებს აძლევს სტიპენდიას. – აღნიშნა ვახტანგ ინაურმა.

ქალბატონმა ნატომ მადლობა მოახსენა ფონდის დამარსებელსა და ამ საქმის გამგრძელებელ ადამიანებს. ისაუბრა შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ სტუდენტებზე: **ამ სტუდენტებმა დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს**. ეს სტიპენდია დიდ მოტივაციას უჩენს მათ, გრძობენ დიდ პასუხისმგებლობას და ამართლებენ ამ პასუხისმ-



ტები პროფესიით აგრძელებენ საქმიანობას საქართველოს სხვადასხვა სკოლაში. მინდა წარმატება ვუსურვო ახალგაზრდებს.

თორნიკეს პოეზია შეაფასეს და მისი ლექსები წაიკითხეს სტუდენტებმა – **მახარე ობოლაძემ** და **შოთა ტიტვინიძემ**. შემდეგ, დამსწრე საზოგადოებას, თავად კრებულის ავტორმა მიმართა და აღნიშნა, რომ მისთვის დიდი პატივია იმ ადამიანების წინაშე გამოსვლა, რომელთა ღვაწლი ქვეყნის შენების საქმეში ფასდაუდებელია; ისაუბრა ბავშვობის ოცნების შესახებ, რომელიც საკუთარი წიგნის გამოცემას ეხებოდა. მადლობა გადაუხადა ფონდს სტუდენტთა განვითარ-



გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდი – მომავლის განათლების საქმეში



თორნიკეს პოეზია შეაფასეს და ასეთი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული სტუდენტებისათვის სტიპენდიის დანიშვნის მნიშვნელობაზე ისაუბრეს – პროფესორმა **მერაბ ბერიძემ**, ასოცირებულმა პროფესორებმა – **ვახტანგ ინაურმა** და **ნატო ყრუაშვილმა**.

მოხარული ვარ, რომ ჩვენი სტუდენტები, რომლებიც ფონდის სტიპენდიას იღებენ, შემოქმედებითი არიან. უმეტესობა, ვინც აქ წარსდგნენ, წერენ ლექსებს. როდესაც ასეთი შემოქმედი სტუდენტი შევა სკო-



გებლობას. მინდა ახალგაზრდებს ბევრი წარმატება ვუსურვო. – აღნიშნა ქალბატონმა ნატომ.

ბატონი ბადრი აღარ არის და მისი ოჯახი, მისი ახლობლები აგრძელებენ იმ საქმეს, რაც არის ხალხისათვის, ადამიანებისათვის, საზოგადოებისათვის სიკეთის კეთება. ამისთვის დიდი მადლობა ოჯახს და ფონდის ხელმძღვანელობას. ასევე, მიხარია, რომ ასეთი კარგი სტუდენტები გვყავს. სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ ფონდის ყოფილი სტიპენდი-

რების მხარდაჭერაში და იმ საქმეში განუული შრომისთვის, რასაც სამშობლოს შენების საქმე ჰქვია, ასევე, უნივერსიტეტს იმ განუული შრომისთვის, რაც სტუდენტთა კეთილდღეობისთვის იყო მიმართული.

ლონისძიების დასასრულს დამსწრე საზოგადოებას მიმართეს უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მაკა ბერიძემ** და გუდავაძე – პატარკაციშვილის ფონდის დირექტორი **ზურაბ კერვალიშვილი**.

საზი მინდა გავუსვა ფონდის მნიშვნელობას. ის გადაწყვეტილება, რომ მომავალ მასწავლებლებს დაეხმაროს, მომავალ მასწავლებლებს მისცეს მოტივაცია, მნიშვნელოვანია. მომავალი მასწავლებლები ფონდისგან სწავლობენ ქველმოქმედებას, უანგაროდ სიკეთის კეთებას. გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდმა მასწავლებლის პროფესიის დიდ მნიშვნელობას გაუსვა საზი, მასწავლებლის პროფესია დააფასა. ჩვენი მადლობა ძალიან ცოტაა ფონდის სიკეთესთან მიმართებით. ამ სიკეთეს აქვს თავისი

პასუხისმგებლობა და ჩვენ ეს არ უნდა დავივიწყოთ. – აღნიშნა რექტორმა.

ბატონმა **ზურაბმა** ისაუბრა ფონდის მიერ განხორციელებული საქველმოქმედო პროექტების შესახებ, რომლებიც მასწავლებლის პროფესიის განვითარების ხელშეწყობას ეხებოდა. შემდეგ გაჩნდა იდეა, ნახალისებინათ ის ახალგაზრდები, რომლებიც იქნებოდნენ მომავალი პედაგოგები. **მახარე ობოლაძე** და **შოთა ტიტვინიძე** ქალბატონმა **მაკას** გაუზიარეთ ჩვენი იდეის შესახებ ფონდის სტიპენდიასთან დაკავშირებით. – აღნიშნა მან. – **ზოგადად, რეგიონულ უნივერსიტეტებს აქვთ დიდი მნიშვნელობა და როლი. ამიტომ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩართვა სასტიპენდიო პროგრამაში შემთხვევითი არ იყო. ჩვენი მიზანია, კარგი მასწავლებელი მივიდეს სკოლაში, კარგმა მასწავლებელმა ასწავლოს მოსწავლეებს.**

ფონდის წარმომადგენელი **მაია ჩიტაშვილი**: ჩვენ სისტემატურად ვიღებთ ინფორმაციას თუ როგორი აქტიურები არიან ფონდის სტიპენდიატები, მაგრამ სულ სხვაა ის ემოცია, როდესაც შედავ მათ წარმატებებს. თითოეული თქვენგანის ნათქვამი სიტყვა გვაძლევს იმის საფუძველს, რომ გავაგრძელოთ მუშაობა, ბევრი წარმატებული ახალგაზრდა აღმოვაჩინოთ და გვინდა თქვენ იყოთ მათთვის მოტივაციის მიმცემები.

ქალბატონი **მაიას** თქმით, ფონდის წარმომადგენლებს სურთ, გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის სტიპენდიატებმა, შექმნილ **ფეისბუქგუფში** აქტიურად გააგრძელონ თანამშრომლობა და დაგეგმონ ერთობლივი ღონისძიებები.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეხვედრამდე გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის ხელმძღვანელობა, უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მაკა ბერიძე**, რექტორის მოადგილე, პროფესორი **მერაბ ბერიძე**, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ **ჭობისხევის** საჯარო სკოლაში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის, ფონდის ყოფილი სტიპენდიატის **ნათია ჯვარიძის** ღია გაკვეთილს დაესწრნენ. ნათიას მიერ ჩატარებულმა გაკვეთილმა დაადასტურა, რომ გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის მიერ დანიშნული სტიპენდია ნამდვილად არის მიმართული მომავალი პედაგოგების განვითარებისა და წარმატებისაკენ.

ლიკა ზაზაშვილი



გლიც-ინტერვიუ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორთან, პროფესორ მირაზ ბერიძესთან

- რექტორობის პერიოდი იყო... - მე რექტორობა მომიწია... თავიდან ვიყავი დირექტორი, მაგრამ ეს ის პერიოდია, როდესაც ყალიბდებოდა უნივერსიტეტი. ეს პერიოდი ძალიან რომანტიკული იყო, რომანტიზმი სჭარბობდა. ეს იყო ყოველდღიური პრაქტიკული ბრძოლა. კიდევ იყო იმედი, ჩვენ ვიცოდით, რომ ვაკეთებდით იმას, რაც საჭირო იყო. პატარა ფილიალი 1990 წელს რომ გაიხსნა და სტუდენტიც, პროფესორიც, ადმინისტრაციაც, ყველა ერთად ვიყავით. ერთობა იყო ძალიან მნიშვნელოვანი და ღირებული.

- უნივერსიტეტის კედლებში ყოფნისას ვგრძნობ... - სიმართლე გითხრათ, პირველ რიგში - პასუხისმგებლობასა და მოწინებებს. - როცა ყოფილი სტუდენტები მაქვებენ... - მქონია შემთხვევები, როდესაც შუალამისას დაურეკავთ ჩემთვის და უთქვამთ, რომ აბა, თქვენს სადღეგრძელოს ვსვამთ და ასე შემდეგ. რა ვიცი, რა გითხრათ. ქება, ალბათ, საერთოდ ძნელი მოსასმენია. ჩემთვის, პირადად, ძნელი მოსასმენია, ნებისმიერი სახის ქება, თუმცა, გინებაზე, რა თქმა უნდა, უკეთესია, რომ გაქონ. - სტუდენტები ჩემთვის არიან...

- რა ვიცი, რა გითხრათ; სტუდენტები... ადრე უფრო შვილების, ახლა უფრო შვილიშვილების დონეზე არიან. - დაბნეულ პირველ კურსელებს ვურჩევდი... - რა უნდა ვურჩიო... ისეთი ლამაზია ეს დაბნევა, რომ არაფერი რჩევა არ უნდა ამას. მე, მაგალითად, ძალიან კაგად მახსოვს პირველი კურსი. პირველი დღე იყო, რომ მივედი უნივერსიტეტში და თურმე გვექონდა „სამხედრო“. მაშინ ასე იყო, ერთი დღე სამხედროს ლექციებს ეკავა და პირველი გაცდენა იყო, ისე ვთქვი, რომ ვაცდენ და იქვე, ერთმა მაღალკურსელმა მითხრა, გირჩევენია, ახლა ნახვიდე იმ სამხედროზე, თორემ ეგ სერიოზულ პრობლემებს შეგიქმნისო და გული გამისკდა, გავვარდი, მოვძებნე მეხუთე კორპუსი და ასე შემდეგ...

დაბნევაზე ლამაზი რა არის?! ნებისმიერ სიტუაციაში ლამაზია დაბნევა. - შემოქმედი ადამიანი ქმნის თავისუფლებას, თუ თავისუფლება ქმნის შემოქმედ ადამიანს? - თავისუფლება რამდენად შექმნის სერიოზულ პრობლემას, მიჭირს ამის თქმა, რადგან ბრძოლაშია აზრი. ნებისმიერი შემოქმედისთვის თავისუფლება, ჩემი აზრით, მუხრუჭია, იმიტომ, რომ თუ არ არის წინააღმდეგობა, არაფერი არ იქმნება. დააკვირდით, თანდათან, რაც უფრო მეტი თავისუფლებისკენ მიდის ჩვენი პროზა, პოეზია და ა.შ. არავის დასახელება არ მსურს, არც ამაზე საუბარი არ მსურს, ზოგადად, მაგრამ მით უფრო ზერეულე ხდება ყველაფერი, თითქოს გვინდოდა რაღაცა,

მივალწიეთ რაღაცას... რა არის, იცით, მაგალითად, მუხრან მაჭავარიანის დონის პოეზიას ველარაგინ ქმნის დღეს თავისუფლების სურვილთან, თავისუფლებასთან დაკავშირებით... მე ვფიქრობ, ადამიანი ქმნის თავისუფლებას და თავისუფლება კიდევ ზღუდავს ადამიანს...

- თქვენთვის, ღირებულებით ვალსაზრისით, წინა პლანზე დგას რომანტიზმი თუ რეალიზმი...

- მე უფრო რომანტიკული რეალიზმი მიჩვენია... ორივე, ორივე იმიტომ, რომ მარტო

„აღამიანის პიროვნებაში მთავარი ღირსება“

ერთი არ შეიძლება, იდეის დონეზე რომანტიზმი ვერ იქნება... მე მთელი ცხოვრება რომანტიკოსი ვარ აბსოლუტურად და ამ დროს ყოველთვის რეალურ საქმეს ვაკეთებ და ეს არის.

- თანამედროვეობაში რომანტიზმი არის...

-საერთოდ, რომანტიზმი ხომ რაღაცის გაიდებაა. იქ ბევრი რამ არის, ბუნების გაიდება, წარსულის გაიდება, რაღაც მოვლენის გაიდება. ბევრი გაიდებების მომენტია და ამიტომ რომანტიზმი, გარკვეულწილად, ნებისმიერ პერიოდს უნდა ჰქონდეს და აქვს. მე მიჭირს ახლა, რომ ეს დამოკიდებულება ჩარჩოში მოვაქციო - რა არის თანამედროვე რომანტიზმი. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ იმ ტრადიციული რომანტიზმიდან არ ვართ გამოსული, ამიტომ, როდესაც რომანტიზმზეა საუბარი, ეს არის, ალბათ.

- ადამიანის პიროვნებაში, მის შინაგან სამყაროში ყველაზე ღირებული არის...

- ღირსება... ჩემთვის მთავარი მაინც ღირსებაა ადამიანში. ყველაზე მძიმე ღირსების შელახვაა. მე ერთხელ მქონდა შემთხვევა, როდესაც ერთ ოფიციალურ პირს ვუთხარი, ნუ ჩადიხარ ამას, ეს ხომ ღირსების შელახვაა-მეთქი და მოკვდა სიცილით - რა დროს ღირსებააო. ამიტომ, ჩემთვის მთავარი ღირსების შელახვაა და ღირსების დაცვა, ღირებულებები, რომელიც ადამიანად გქმნის... რა თქმა უნდა, ღირებულებები განსხვავებულია, თუნდაც, ადამიანური ღირებულებები მრავალგვარია, მაგრამ ჩემთვის ღირსების ტოლფასია სიტყვა, რომელიც უნდა შესრულდეს, ნათქვამი, რომელიც უნდა შესრულდეს. უალტერნატივოა, რომ სამშობლო გიყვარს და უნდა გიყვარდეს, არ უნდა დათმო შენი ქვეყანა, ამაზე ბევრი მოკვდება სიცილით იმიტომ, რომ დღეს უკვე სამშობლოს აღქმა ნაკლებია, სხვაგვარად ესმის ბევრს, მაგრამ ეს ილიას დროსაც ასე იყო, უკვე აღარავინ აღარ ფიქრობდა, როგორც დღეს, მაშინაც ასეთი დამოკიდებულება იყო - სადაც ვიქნები კარგად, ყველაფერი იქ არის, მაგრამ პირა-

დად მე არ ვთვლი ასე... მე სამი შვილი მყავს და უცხოეთში არცერთი არ წავიდა, იმიტომ კი არა, რომ ან არ უჭირდათ, ან არ ულხინდათ, ან შესაბამისი დონე არ ჰქონდათ, ან ასე შემდეგ. ისინი არ წავიდნენ იმიტომ, რომ თავის სამშობლოში უნდა იყვნენ. რვა შვილიშვილი მყავს და გამიხარდება, რომ არცერთი მათგანი არსად წავიდეს. სამშობლოს დაცვა პირველი ღირსებაა. არ ვიცი, ბევრი რამეა... ჩემთვის პრინციპულია ღირსების არ შელახვა.

- თავისუფლებას ვგრძნობ, როცა...

- არ ვიცი... ვერ გეტყვი... მიგრძენია კი როდესმე თავისუფლება?! ძალიან მეშინია თავისუფლების. შინაგანად ხარ ადამიანი თავისუფალი,

ლები ძალიან მიყვარს, ალბათ, მე მაინც ვარდს ვარჩევდი, ყვავილთა მეფე ხომ ვარდა, თან ის არა, ათასფერი ვარდი რომ გვაქვს. აი, ჩემს ბავშვობაში, მაგალითად, ჩემს სახლში, ასპინძამი, პირდაპირ სარკმელთან ხარობდა ვარდი და გაზაფხულიდან გაზაფხულამდე მის აყვავებას ველოდებოდით... მის აყვავებას სურნელით ვგრძნობდით... როცა ფანჯარას გამოვალბდი და მისი სურნელი შემოვიდოდა, ესე იგი, უკვე ყველაფერი რიგზე იყო, ამიტომ მე, ალბათ, ვარდთან მექნებოდა ურთიერთობა.

- ქართული ენა ჩემთვის არის...

- ქართული ენა არის, როგორ, იცით... მეგრძობი ქართვლობისთვის, საერთოდ, სამ-



ყაროა დიდი. აუცილებლად დიდი სამყარო, ენის სამყარო... მასში არის ჩვენი ისტორია, ხასიათი. ესე იგი, იდეა... ყველაფერია ქართული ენა საქართველოსა და ქართველისათვის, ყველაფერია... ერთი სიტყვაა კი, ნებისმიერი სიტყვაა. აი, ნებისმიერი სიტყვა, რომელიც ძირეულია და ჩვენი ენის კუთვნილებაა, მისი გაჩენიდან დღევანდლამდე ათასწლეულებს ითვის. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ათასწლეულებში რამდენი რამ გადაიტანა თითოეულმა სიტყვამ, ძალიან ბევრი... ჩემთვის ყველაზე მთავარია რა არის, იცით, რომ აი, ვთქვათ ორიათასი წლის წინანდელი ქართველი ისე ლაპარაკობდა, როგორც დღეს ვლაპარაკობთ ჩვენ... რა თქმა უნდა, განსხვავება გარკვეულწილად რაღაცაში იქნებოდა, მაგრამ ძალიან კარგად გავუგებდით ერთმანეთს. რა თქმა უნდა, თუ ამოვყრიდით შემდგომ შემოსულ სიტყვებს, ბევრი რამ მაშინდელი ქართველისთვის უცნაური იქნებოდა, ბუნებრივია, მიუღებელი იქნებოდა ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ის მერე შეიქმნა. ის, რაც მაშინდელია, ისეთივე სიტყვად იქნება, ვთქვათ ასეთი რამე, მოვიდვარ, ვაკეთებ, მიყვარხარ, მძულს, ვმუშაობ - ყველაფერი ისევე იყო მაშინ, როგორც არის დღეს. წარმოვიდგენიათ, არავითარი თარგმანი არ სჭირდება, არაფერი არ სჭირდება, მაშინ, როდესაც, ნებისმიერ ენას, ორიათასი წლის წინ

ანდელს, თარგმანი სჭირდება, ჩვენს გარშემო ენები რომელიც არის, ეს შენი სპარსული, ეს შენი ოსმალური, სომხური, ბერძნული, სლავური და ასე შემდეგ, ჩვენ თარგმანი არ გვჭირდება. ამიტომ, რაღაცაშია საქმე, ძალიან მიჭირს თქმა, რომ რაღაცით გამორჩეული ვართ, არადა, იმდენჯერ დავეჯახე ამას, რომ ვართ გამორჩეული. მაგრამ გიჭირს ამის თქმა, სასაცილო მდგომარეობაში რომ არ ჩავარდე ადამიანი; მაგრამ გამორჩეულია ქართული ენა, საოცრად გამორჩეულია იმიტომ, რომ ეპოქებს გაუძლო მან. სამი ანბანი შექმნა ქართულმა ენამ, სულ რაღაც ათას ხუთასი წლის განმავლობაში... სამი ანბანი შექმნა ერთმა ენამ... ხალხმა ისე გაატარა, ისე დაიბადა ბევრი ენა და გარდაიცვალა, რომ ანბანი არ ჰქონია, დამწერლობა არ ჰქონია... ჩვენმა ენამ სამი ანბანი შექმნა, მაშინ ის სჭირდებოდა, მანამდე ის სჭირდებოდა, ახლა ეს სჭირდება. ნებისმიერი ეს ანბანი მიეცი ნებისმიერ ქვეყანას, ასწავს ნებისმიერ ფონემატურ ფორმასა და სტრუქტურას, ყველაფერია ქართული ენა... ჩვენი წინაპრები ყოველთვის თუ რამეს აქებდნენ, აქებდნენ ენას. ყველაფერში აბსოლუტურად, ერთადერთი, რაც უალტერნატივო იყო, ერთადერთი რამ ღვთის ტოლად, ღმერთის ტოლად ცხოვრებაში, არსებობაში, ენა მიაჩნდათ. იოანე ზოსიმე ამბობდა, რომ მოვა ქრისტიანული ენა და მთელი ჩვენი ისტორია, ჩვენი ქრისტიანობა აგებულია იმაზე, რომ უნდა გნამდეს მეორედ მოსვლა, თუ არ გნამს, არ ხარ ქრისტიანი. ამას ამბობს იოანე ზოსიმე, გესმით, ეს რამხელა პრეტენზიაა, რომ აი, ამ ენაზე განიკითხავს მთელს დედამიწას?! მე მიჭირს ამაზე რამე კომენტარის გაკეთება, მიჭირს იმიტომ, რომ, როცა ამას ამბობდა, სწამდა... ის ტყუილს არ იტყოდა, ვერ იტყოდა. იოანე ზოსიმე, ჩვენნიარ ქრისტიანი კი არ ყოფილა, ის იყო მართლა ქრისტიანი, მისი რწმენა ცას სწვდებოდა, იცოდა, რასაც ამბობდა, ამიტომ ჩვენთვისაც ასეა.

- ქართველი ერი, ყველა რომ ერთიანად გაჩუმდეს, ვეტყვოდი...

- ვეტყვოდი, რომ... ერთადერთი, რაც არის მთავარი და მნიშვნელოვანი, რომ ერთადერთი, რაც არის მთავარი და უმთავრესი, დაფიქრდით, გაიზრეთ, რა არის ქართველობა და რა არის ქართული, რას გააკეთებთ ქართველობისთვის და რა უნდა ვაკეთოთ საქართველოსთვის. ოღონდ თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გაიზარდოს, მე ვერაფერს დავავალებ, რა უნდა გააკეთოს, თვითონ უნდა გაიზარდოს, რა უნდა აკეთოს საქართველოსა და ქართველებისთვის და მაშინ იქნება ძლიერი ჩვენი ქვეყანა. მე ვერ ვეტყვი, შენ ის აკეთე, შენ ეს აკეთე... ეს არის ჩემი იდეის შესრულება და მეტი არაფერი.

ინტერვიუერი ნატალია პარლიძე ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი

ინფორმაცია



● **27-29 ნოემბერს**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მონვეული პერსონალი მონაწილეობას იღებდა ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის „სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტების განვითარება საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ახალგაზრდა ვეტერინარიის პროფესიონალების მომზადების მიზნით“ (VETPRO) ფარგლებში გამართული სემინარების სერიაში.

შემდეგი საკითხი იყო, Cambridge Journals კემბრიჯის უნივერსიტეტის რეფერირებადი და სამეცნიერო ჟურნალების ბაზაზე, ინსტიტუციონალური წვდომის ჩვენება სტუდენტებისთვის (იგულისხმება უნივერსიტეტის IP მისამართით და უნივერსიტეტის პაროლით და იუზერით შესვლა ამ ბაზაზე). პრაქტიკული ძიების და ინფორმაციის მოპოვებისას, თვით სტუდენტების ჩართულობით, მათთვის სასურველ თემაზე იქნა მოძიებული სტატიები.

ტრენინგზე განხილული იყო, აგრეთვე: eDuke Journals,

სემინარები მიზნად ისახავდა ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური და მონვეული პერსონალის აკადემიური, კვლევითი და კარიერული განვითარების უნარების გაძლიერებას. ესტონეთის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტისა და ლატვიის სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ქართველი კოლეგებისთვის სამი დღის განმავლობაში ხუთი სემინარი ნაიკითხეს.

● **28 ნოემბერს**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-11 კორპუსში, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნ-



Elgaronlin, European Respiratory Journal სამეცნიერო ჟურნალების გამოყენების ინსტრუქცია და ინფორმაციის ძიების პარამეტრები.

ტრენინგის მონაწილეებს გადაეცემათ სერთიფიკატები.

● **6 დეკემბერს**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსში, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ბექა თათაშვილი ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტების სტუდენტებს შეხვდა.

შეხვედრაზე სტუდენტებმა მიიღეს ინფორმაცია სამივე კორპუსში საგანგებო სიტუაციების შტაბის წევრების შესახებ. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტმა სტუდენტებს გააცნო უნივერსიტეტის საევაკუაციო გეგმა, ასწავლა ცეცხლმაქრის გამოყენება და ჩაუტარა ინსტრუქტაჟი, თუ როგორ უნდა მოიქცნენ საგანგებო სიტუაციების დროს (ხანძარი, მიწისძვრა, სტიქიური უბედურებები).

● **11-15 დეკემბერს**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარეობდა ტრენინგების ციკლი, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის „ინოვაციებისა და მენარმეობის ოფისის (GWOIE)“ წარმომადგენლების მიერ.

ინსტრუქტორები: **ბობ სმიტი** და **კერი სლატერი** სამუშაო სტრატეგიების მიზანი იყო ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის (GWU) ინოვაციებისა და მენარმეობის ოფისის (OIE) ცოდნა-გამოცდილების მეშვეობით, მონაწილე დაწესებულებების ადამიან-

ური და მატერიალური რესურსების ბაზის განვითარება, პარტნიორ უნივერსიტეტებში პოტენციური მენტორებისა და ინსტრუქტორების Lean Startup-ზე დაფუძნებული სწავლებისა და მენტორინგის პროგრამების გაცნობა, რომელიც დაეხმარება პერსპექტიული მენტორების ორიენტირებას საქართველოს უნივერსიტეტებიდან Lean Startup-ის სტრუქტურასა და ჩარჩოზე, რომელსაც GW იყენებს ინოვაციებისა და მენარმეობის ტრენინგებისა და სწავლების პროგრამების განხორციელებისას.

ტრენინგები ხორციელდება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის უნივერსიტეტთან პარტნიორობით, ახორციელებს კონკურენტული ინოვაციის ფონდის CIF-ის (საქართველო I2Q ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი კონკურენტული ინოვაციის ფონდი) მიერ დაფინანსებული პროექტის: „სამენარმეო განათლება, გზა ინოვაციის, თანასწორობისა და ხარისხისაკენ“ ფარგლებში. მხარდაჭე-



პროექტების კოორდინატორი, პროფესორი **ინდირა ძაგანია**.

ლონისძიებას, საერთაშორისო და ქართველ პარტნიორებთან ერთად, ესწრებოდა **ნინო წერეთელი** – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსი, **ნუნუ მიცკევიჩი** – სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, **გუგული მალრაძე** – პროფესორი, პროექტის ფარგლებში შექმნილი ფსიქოლოგთა ასოციაციის თავმჯ-

ვეს როგორც პროფესორ მალგორზატა ბარანის, ისე შერჩეული თემატიკის მიმართ.

● **22 დეკემბერს**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საჯარო მმართველობის დამამთავრებელი კურსის სტუდენტები, მუნიციპალიტეტის მერს, **ირაკლი ლაზარაშვილს** შეხვდნენ.

სტუდენტები ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის სპეციფიკას გაეცნენ და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირს შეკითხვები დაუსვეს. ირაკლი ლაზარაშვილმა სტუდენტებს მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე ინფორმაცია მიაწოდა, მათ მიერ დასმულ შეკითხვებს ამომწურავი პასუხები გასცა და წარმატებები უსურვებდა მომავალ საქმიანობაში. ლონისძიების ორგანიზატორი სჯსუ-ს მონვეული ლექტორი **თაკო მამუკაშვილი** იყო.

● **27 დეკემბერს**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემო ენთელის საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები და პედაგოგები ესტუმრნენ.

რამდენადაც სკოლებთან მრავალფეროვანი და მჭიდრო ურთიერთობა უნივერსიტეტის სტრატეგიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, სჯსუ-ს რექტორმა, პროფესორმა მაკა ბერიძემ სკოლის მოსწავლეებს გააცნო ინფორმაცია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ. სტუმრებმა ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს სჯსუ-ს, ფაკულტეტების, სასწავლო პროგრამების შესახებ. მოსწავლეები გაეცნენ ინფორმაციას გაცვლით პროგრამებზე, სტიპენდიის სახეობებზე, სტუდენტურ ცხოვრებაზე, დასაქმების საკითხებზე. პრეზენტაციის შემდეგ მოსწავლეებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის პირველი და მეორე კორპუსის ინფრასტრუქტურა.

უნივერსიტეტის facebook-ის გვერდიდან

რები: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მსოფლიო ბანკი.

● **19 დეკემბერს**, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა Erasmus+-ის ინსტიტუციური თანამშრომლობის პროექტის „ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრების გახსნა სტუდენტებისთვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში“ ფინალური კონფერენცია, სადაც შეჯამდა პროექტის მიმდინარეობისას გამართული თითოეული აქტივობა. კონფერენციაში მონაწილეობდა ევსიის პროექტის ფსიქოლოგები: **გულიკო ბექაური** და **ქეთევან ნარიანიშვილი**. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული აქტივობების ანგარიში წარადგინა პროექტის მენეჯერმა **გურანდა მოდებაძემ**.

კონფერენციის მუშაობას უძღვებოდა სსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობებისა და კულტურათმშორისი კავშირების დეპარტამენტის უფროსი,

დომარე **თამარ გაგოშიძე** და სხვა საპატიო სტუმრები.

კონფერენციაზე, ერთხმად, წარმატებულად შეფასდა პროექტების ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები და აღინიშნა მიღებული შედეგების მნიშვნელობა.

● **21 დეკემბერს**, ზუმის პლატფორმის საშუალებით, დისტანციურად ჩატარდა სივითასის (პოლონეთი) უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის, პროფესორი **მალგორზატა ბარანის** საჯარო ლექცია თემაზე: „საერთაშორისო პროექტების მართვის თანამედროვე მიდგომები“.

ლექციას ესწრებოდნენ ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის როგორც საბაკალავრო და სამაგისტრო, ისე სადოქტორო პროგრამის სტუდენტები და აკადემიური პერსონალი. ლექციის თემა მეტად საინტერესო აღმოჩნდა სტუდენტებისთვის. შეხვედრა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

დასკვნით ნაწილში სტუდენტებმა კმაყოფილება გამოთქ-



ველყოფის სამსახურის ინიციატივით, სტუდენტებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „სამეცნიერო საქმიანობის გამომწვევება ელექტრონული რესურსების გამოყენებით“. ტრენინგს უძღვებოდა ბიბლიოთეკის ტექნიკური ხელმძღვანელი **ხათუნა კვინცხაძე**. ტრენინგზე განხილული იყო: ELSEVIER – წამყვან საერთაშორისო ონლაინ გამოცემლობაში, Scopus-სა და ScienceDirect სამეცნიერო ბაზების მუშაობისა და ძიების საფუძვლები. პრაქტიკული მაგალითების განხილვით, სტუდენტებმა მოისმინეს ინფორმაცია სასურველი მასალის მოპოვებისა და მათი გადმოწერის საშუალებების შესახებ. ნაჩვენები იქნა ვიდეოსტრუქტურა და ამ ბაზებისთვის განკუთვნილი სამუშაო ინსტრუქციები.

კიდევ ერთი ნაბიჯი წარმატებული მომავლისათვის!



საინტერესოა, არა – ერთ ნაბიჯს წარმდგინი რამის შეცვლა შეუძლია უკეთესი მომავლისათვის! კალენდარში კიდევ ერთი თარიღი მოვიხიშნეთ ნათლად, თან, ძალიან მათთვის. პროექტის იდეამ ფრთა შეისხა და თავისი ღრმა კვალი დატოვა განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ისტორიაში და, რაც მთავარია, ჩვენში, ინგლისური ფილოლოგიის მეოთხე კურსელებში.

ოთხი კვირა, ერთი შეხედვით, არც თუ ისე დიდი დროა, მაგრამ თურმე რამდენი რამის გაკეთება ყოფილა შესაძლებელი. პროექტის – „ინგლისური ენის სწავლება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში – მისი ძლიერი და სუსტი მხარეები“ მიზანი სათაურშივე ჩანს. მუშაობის პროცესში შევიძინეთ კვლევისა და ანალიზის უნარები, გავიუმჯობესეთ კომუნიკაციის, თანამშრომლობის, თარგმანის, აზრების გაზიარების, კრიტიკული აზროვნების უნარები და, რაც მთავარია, გავიღრმავეთ ინგლისური ენის ცოდნა, დავამარცხეთ ფართო აუდიტორიის წი-

ნაშე გამოსვლის შიში და დავამტკიცეთ, თუ ერთ პატარა ჯგუფს რამდენი რამის გაკეთება შეუძლია.

სტუდენტთა ოთხმა ჯგუფმა გამოკითხა როგორც ინგლისური ენის პროფესორ – მასწავლებლები, ასევე უნივერსიტეტის სტუდენტები. აღმოჩნდა, რომ ბევრ სტუდენტს გააზრებული აქვს ინგლისური ენის როლი წარმატებულ კარიერაში, მოსწონს ინგლისური ენის ლექსები, ახალი მიდგომები სწავლებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ გვერდით არიან სტუდენტები, რომლებიც ხშირად აცდენენ ლექსებს, თუ ესწრებიან, არ აქტიურობენ და, შესაბამისად, დაბალი



შეფასებაც აქვთ. მასწავლებლების აზრით, საჭიროა სტუდენტთა მოტივაციის ამაღლება, მათი დაინტერესება, სხვადასხვა ინსტრუმენტების დანერგვა და გამოყენება სწავლებაში.

პროექტი იყო არაჩვეულებრივი მაგალითი იმისა, თუ როგორ გა-

მორჩეული სტუდენტური ცხოვრება აქვთ სჯსუ-ს სტუდენტებს. იმედია, ეს ამბავი არ გასრულდება და კიდევ უფრო ბევრ და საინტერესო კვლევის შედეგს ვიხილავთ, რადგან სჯსუ არის ჩვენი პატარა ოჯახი, სადაც თითოეული ჩვენი ვიზუალური გზავნილი გვერდით მყოფზე, ხოლო ერთად – უნივერსიტეტის ბრწყინვალე მომავალზე.

მინდა, მადლობა გადავუხადო დეკანატს, ინგლისური ფილოლოგიის პროფესორს და განსაკუთრებით ქალბატონ გულყო ჯანოვას, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენს გვერდით იყო და ზრუნავდა ჩვენზე.

პარანაიკა პარტანიანი
ინგლისური ფილოლოგიის
მე-4 კურსის სტუდენტი



ბილი ჩანი: მსიაგონებას სტუდენტებთან მუშაობა, იმის ხილვა, თუ როგორ იქცევა იდეები რეალობად



საძლებლობისთვის მშვიდობის კორპუსს, ამერიკის საელჩოს საქართველოში, ჩვენს მშობლიურ უნივერსიტეტში და, რა თქმა უნდა, ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის პროფესორს, ქალბატონებს – გულყო ჯანოვას, მკა მურვანიძეს და დანა მიქელაძეს.

ლობა რთული პროფესიაა, რადგან ბევრს გასცემ, თუმცა, ბევრსაც იღებ. მსიაგონებს, როდესაც სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული გავრცელებაში, ეს მით ჩემი. მე დამწყები მასწავლებელი ვარ. რამდენიმე ლექტორთან ერთად ვმუშაობ. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, თითოეულ მათგანს აქვს სწავლების საკუთარი სტილი, სტრატეგია და ხერხი. მიხარია, რომ არა მარტო ვასწავლი, არამედ ვსწავლობ კიდევ, თუ როგორ ვასწავლო. ეს დიდი გამოცდებია ჩემთვის.



პანას სურვილი აქვს, შექმნას მორბენალთა კლუბი და განახორციელოს ახალციხის ვებგვერდის ცენტრის პროექტი. სამომავლოდ, როდესაც აშშ-ში დავბრუნდები, დასაქმებას საერთაშორისო განათლების სფეროში ან არასამთავრობო ორგანიზაციაში ვაპირებ. ჩემი საქმიანობა საქართველოში მხოლოდ ინგლისურის სწავლება არაა. ჩემი მიზანია, გავცნო ახალ კულტურასა და ცხოვრების წესს. იმედი მაქვს, საქართველოში მიღებულ გამოცდი-

პრაქტიკის დანერგვა, რესურსების განვითარება და განათლების შესაძლებლობების ხელმისაწვდომობა.

წელს მშვიდობის კორპუსის მონაწილე ჩვენს უნივერსიტეტში ბილი ჩანი. ის მხოლოდ ერთ აკადემიურ წელს დაჰყოფს საქართველოში. როგორც ბილი აღნიშნავს, დრო შეზღუდულია, მაგრამ დიდი სურვილი აქვს, შექმნას ისეთი რამ, რაც უნივერსიტეტის, როგორც ადგილობრივი, ასევე, უცხოელ სტუდენტს ათქმევინებს – „რა მაგარია! ეს როგორ? ვინ შექმნა ეს?“ მისი მიზანია, მისცეს სტუდენტებს ინტერაქციისა და ჩართულობის უფრო მეტი შესაძლებლობა როგორც უნივერსიტეტში, ასევე, მის გარეთ.

ბილის მოწყვეტის მშვიდობის კორპუსის ცნობილი ციტატა – „სამუშაო ხშირად გამოწვევებითაა სავსე, მაგრამ მე ის მიყვარს!“ მსიაგონებს სტუდენტებთან მუშაობა, იმის ხილვა, თუ როგორ იქცევა იდეები რეალობად. სწავლების პროცესი უამრავ დასამახსოვრებელ მომენტს მოიცავს. – აღნიშნავს ბილი. ბევრი საინტერესო იდეის რეალიზაცია შეუძლებელი იქნება უნივერსიტეტის გარეშე.

პარანაიკა პარტანიანი
ინგლისური ფილოლოგიის
მე-4 კურსის სტუდენტი



ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტის მეთორე კურსის სტუდენტები მარიამ ალდგომელაძე და ხაჩატურ მარქარიანი Google Development Student Club-ის ლიდერები გახდნენ. აქ მოსახვედრად მათ რთული გზა გაიარა. Google Development Student Club-ის შესახებ შეიტყვეს პრეზენტაციაზე, რომელიც გამართა კლუბის ყოფილმა წევრმა თამთა კაპანაძემ. გაოცებული ვიყავი თამთას პრეზენტაციით. მივხვდი, რომ ამ კლუბში მოხვედრის შემთხვევაში დიდ ცოდნას მივიღებდი. ამიტომ, გამოვიყენე შესაძლებლობა და დავრეგისტრირდი ლიდერის პოზიციაზე. – გვეუბნება მარიამი.

უნივერსიტეტიდან – პირველები GOOGLE DEVELOPMENT STUDENT CLUB-ში

ექტი სტუდენტებისთვის და ზოგადად, უნივერსიტეტისთვის, განვითარების დიდი პერსპექტივა და ახალი შესაძლებლობაა. თანაც, ზუსტად იმ სფეროში, რომელსაც სწავლობენ და რომელიც აინტერესებთ. მისი აზრით, კლუბი ახალ სტიმულს მისცევს ჩვენს უნივერსიტეტში ტექნოლოგიების სფეროს განვითარებას.

დენტთა ჯგუფს შეასწავლონ Google-ის ტექნოლოგიები. 2 ნოემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამცხე-ნიერო ბიბლიოთეკაში მარიამმა და ხაჩატურმა Google Developer Student Clubs-ის პირველი ლონისიძეა ჩაატარეს. დააწესეს Google Developer Student Clubs-ის უნივერსიტეტში შექმნის შესახებ და სტუდენტებს კლუბში განვითარებისაკენ მოუძღვეს; დამსწრე საზოგადოებას გააცნეს მათი მიზნები და გეგმები. სტუდენტებს განუმარტეს, რომ შესაძლებელია პროგრამირების ენებით და ხელსაწყოებით, როგორცაა: Kotlin, JavaScript, Go, CSS, C++, Dart, HTML, Java, Node.js, Python, Ruby, Swift, TypeScript, Android, Cloud, TensorFlow,

Angular, AppEngine, Assistant, Chrome, Dataproc, Datastore, Dialogflow, Document AI, Firebase, Flutter, GameServers, Google Kubernetes, Google Maps Platform, Material Design, Page Speed, Perception AI, PubSub, შექმნან ახალ პროგრამები. ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტმა ირაკლი ხაჩიძემ აუდიტორიას გააცნო ის შესაძლებლობები, თუ როგორ შეუძლია Google Developer Student Clubs-ს გაზარდოს თითოეულის უნარი ტექნიკურ ინდუსტრიაში. მან დეტალურად ისაუბრა Google-ის ხელსაწყოებსა და ტექნოლოგიებზე, იმ შესაძლებლობებზე, რითაც ამ ინოვაციურ რესურსს შეუძლია გაზარდოს



ჩვენი, როგორც დეველოპერის, განვითარება. ეს საშუალებას მოგვცემს, შევქმნათ საკუთარი აპლიკაციები ან ვებგვერდები. პრეზენტაციის ავტორების აზრით, უნივერსიტეტში კლუბის განვითარება დამოკიდებულია სტუდენტების აქტიურობაზე.

მათი სამომავლო გეგმა Solution Challenge-ში მონაწილეობის მიღებაა. გამარჯვების შემთხვევაში, პროექტი უნივერსიტეტსა და, ზოგადად, რეგიონს დიდ წარმატებას მოუტანს. Solution challenge ხელს შეუწყობს, აღმოაჩინოს სხვადასხვა პრობლემა, როგორცაა განათლების ხარისხის ამაღლება, გენდერული თანასწორობა და სხვა. გამომწვევები უზარმაზარია. მარიამსა და ხაჩატურს სტუდენტთა მხარდაჭერის იმედი აქვთ. ამბობენ, რომ მზად არიან ერთად დაიწყონ საინტერესო თავგადასავალი Google Development Student Club – თან ერთად.

ლია ზაზაშვილი





თამარ აბრამიშვილი: სკოლისა და უნივერსიტეტის კავშირი უნივერსიტეტის სტრატეგიაში

ალიზანის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლოჯურის საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები, სკოლის დირექტორის, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის **თამარ აბრამიშვილის** ხელმძღვანელობით, უნივერსიტეტს ესტუმრნენ. სჯესუ-ს პროექტორმა, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ**, უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში შეხვედრისას, მოსწავლეებს გააცნო უნივერსიტეტის ისტორია. შეხვედრაში კითხვა – პასუხის რეჟიმში ჩაიარა, რის შემდეგაც მოსწავლეებმა ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს სჯესუ-ს ფაკულტეტების, სასწავლო პროგრამების შესახებ. ასევე, გაეცნენ ინფორმაციას გაცვლით პროგრამებზე, სტიპენდიის სახეობებზე, სტუდენტურ ცხოვრებასა და დასაქმების საკითხებზე. პრეზენტაციის შემდეგ მოსწავლეებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, მინი-სკოლა, სჯესუ-ს მუზეუმი, ბიბლიოთეკა, სპორტული დაბაზი, ესტუმრნენ გაზეთ „მეცნიერების“ უნივერსიტეტის რედაქციას.

ასეთი სახის ვიზიტები ეხმარება საზოგადოებაში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ ცნობადობის ამაღლებას. შთაბეჭდილებას გვიზიარებს **თამარ აბრამიშვილი**: **ლონისძევა განხორციელდა უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების, სოფელ ბოლოჯურის საჯარო სკოლის ხელმძღვანელობისა და ალიზანის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელების, ქალბატონ ინგა ბოჭორიშვილის ერთობლივი ძალისხმევით.** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტი ჩემთვის ყოველთვის განსაკუთრებული ემოციებითაა დაკავშირებული. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ის ადგილია, სადაც ადამიანი იზრდება, ვითარდება და ყალიბდება როგორც პროფესიულად, ამასთანავე, პიროვნულად. სასწავლო ვიზიტის ფარგლებში დღეს ჩემს მოსწავლეებთან ერთად ვესტუმრე უნივერსიტეტს, დაგვითვა

ლიერეთ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და სასწავლო პროგრამების გაცნობის მიზნით პროექტორს – ბატონ მერაბ ბერიძეს შევხვდით. შეხვედრა დისკუსიის ფორმით წარიმართა. მოსწავლეებმა ჩემგან იცინა, რომ სჯესუ-ს ორგანიზაციული კულტურა დამყარებულია ლიაოზასა და მალალ მიმღე-ლობაზე, ეს არის ადგილი, სადაც ყველა აქვს თვითრეალიზების შანსი, თუ ამის მოტივაციას გამოავლინებს. მუდმივად გვულმემატკივრობ ჩემს უნივერსიტეტს და აღვნიშნავ, რომ რეგიონალური განვითარების კუთხით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს უდიდესი როლი და ფუნქცია აქვს. მიმაჩნია, რომ სკოლასა და უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობა უმნიშვნელოვანესია, თუ ჩვენ ღირსეული და პასუხისმგებელი პროფესიონალების ჩამოყალიბება გვსურს, ამ მიზნისთვის ერთად უნდა გავისარჯოთ და ადგილობრივი ახალგაზრდების ადამიანური კაპიტალი სამცხე-ჯავახეთის განვითარების კენ მივმართოთ.

თვითდისციპლინა

რა განაპირობებს ადამიანის წარმატებას, მიზანსწრაფულობას, მუდმივ პარმონიულობას და თვითრეალიზების განცდას? პასუხი შემდეგნაირია: თვითდისციპლინა. თვითდისციპლინის გარეშე ვერცერთი უნარის ათვისებასა და ცხოვრებაში დაწვრივას ვერ შევძლებთ. მისი გამომუშავება ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ღრმა ნებისყოფას, ენერჯიასა და ბევრ მუშაობას საჭიროებს. რა არის თვითდისციპლინა? თვითდისციპლინა საკუთარი ცხოვრების მართვის, კონტროლის შესაძლებლობა, ზოგიერთი მას სუპერძალასაც უწოდებს, რადგან ჩვენ შესაძლებლობას გვაძლევს, ვმართოთ ჩვენი შესაძლებლობები. თვითდისციპლინა მზადყოფნაა ვისუფლებას. მას არ გააჩნია საზღვრები, ასაკი და მიმართულება. ეს არის იდეალური წარმატების გასაღები და მიმაჩნია, რომ ყველა ადამიანის ცხოვრებაში ახალი და ყველაზე დიდი მიღწევა იქნება თვითდისციპლინის გამომუშავება. პირადი მაგალითებით შემოიძლია ვთქვათ, რომ თვითდისციპლინას დრო არ გააჩნია, ხანგრძლივი პროცესია და მისი გამომუშავება ინდივიდუალურია.

„გამარჯვებამა შორის უდიდესი არის საკუთარ თავზე“ **გამარჯვება“** **პლატონი**

გვინდა და გადავდებთ ხოლმე მეორე დღისთვის. მაგალითად, გვინდა უცხო ენის შესწავლა, მაგრამ გვეუბნებიან, რომ 5 წელია საჭიროა მისი სრულყოფილი შესწავლისთვის. შესაბამისად, ვანებებთ თავს, მაგრამ ეს 5 წელი ხომ ისედაც გავა? საქმეს სჭირდება პროფესიულად, რამდენსაც განვუსაზღვრავთ – პარკინსონი, სხვადასხვა ფიზიოლოგიური პროცესები, გუნება-განწყობილება, პირობიტეტები და მიზნები და მათ შორის უზარალო ამინდიც დიდ ზეგავლენას ახდენს ჩვენზე. ვფიქრობ, საზგასამით უნდა ალვინში „სიტყვების მაგიის ეფექტურობა ტვიზზე“, რომელიც ფსიქოლოგიის სფეროა, თუმცა, ფუნდამენტული ყველა სფეროში გააჩნია. თუ ტვიზს ივლ ფარგლებში მივანოდეთ ინფორმაციას, ეფექტიც არ დააყოვნებს. ხელოვანი ადამიანები, მაგალითად, მუსიკოსები, არ ელოდებიან მუშის მოსვლას, რადგან მათ გამომუშავებული აქვთ დისციპლინა, ასევე მოსწავლეების, აბიტურიენტებისა და სტუდენტების შემთხვევაში – თუ არ გვექნება მოტივაცია, განწყობა, ვერ შევასრულებთ დავალებას და ვერ ავითვისებთ მასალას. ალბათ, გავგვიჩნდება შინაგანი პროტესტი თუ რატომ უნდა მოვექცეთ დისციპლინის წარჩობაში?! სიტყვა იდეასთან შედარებით ხისტია და პირველი, რაც მოგვივა თავში, ესაა ჯარის დისციპლინა; მაგრამ ეს ასე არაა, რადგან თვით-



დისციპლინა არის საკუთარი თავის მართლმსაჯულება, რომელიც პიროვნულად გვზრდის და გვაახლოებს მიზნებს – ვიყოთ ყოველდღე საკუთარი თავის საუკეთესო ვერსია. ცხადია, ჩნდება კითხვა – თუ არ გვაქვს მიზნები, როგორ გვეზმარება თვითდისციპლინა? პასუხი მარტივია: განესაზღვროთ საკუთარი თავი და შევისწავლოთ ჩვენი შესაძლებლობების ყველა რესურსი, რაც მიზნების სწორ დაგეგმარებაში დაგვეხმარება. ძალიან რთულია, როცა ხარ სტუდენტი და არ გაქვს დრო; თუმცა, დროის სწორი მენეჯმენტი და თავისუფალი დროც გემზოდება, ამავედროულად, ვიქნებით მეტად პროდუქტიულები, თავის-უფლები და წარმატებულები. ამგვარად, დასკვნის სახით შემოიძლია ვთქვათ, რომ თვითდისციპლინა გვეხმარება, შევექმნათ ჩვენთვის სასურველი მომავალი და საკუთარი თავის გაუმჯობესებელი მოდელები, რაც წარმატებული მომავლის უდაო გარანტია.

თინათინ ბელიძე
ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო-საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 კურსის სტუდენტი

შეგვიყვარეთი ცენტრი „მანთია“

შეგვიყვარეთი ცენტრის „მანთია“ დაარსების იდეა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ჩვენი პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესორ **ირმა ქურდაძეს** უკავშირდება; პროექტს, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საბაზისო განათლების პროგრამის ახალ ინიციატივას „იდეატორთა კლუბების“ შექმნას ითვალისწინებდა სკოლებში. ინიციატივის ფარგლებში, დაწყებითი საფეხურის მეოთხე-მეექვსე კლასების მოსწავლეები გამოიმუშავენ კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის ინოვაციურად გადაჭრის უნარებს გუნდურ პროექტებზე მუშაობისას. კლუბები დაარსდა სკოლის ბაზაზე და მათში განხორციელდება მე-4, მე-5 და მე-6 კლასის მსურველი მოსწავლეები. კლუბების ამოქმედებისა და გუნდური პროექტების განხორციელების პროცესს უმდგებოდნენ USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის პარტნიორი უნივერსიტეტების მოხალისე სტუდენტები და ტრენერები. იდეატორთა კლუბი მოიცავდა კლასგარეშე აქტივობებს, რომლებიც დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებს უფითარებს, ესენია: კრიტიკული აზროვნება, ეფექტური კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა და პრობლემების კრეატიულად გადაწყვეტა. აღნიშნული პროექტის მხარდაჭერით ბორჯომის №1 საჯარო სკოლაში შეიქმნა ქართულ-ამერიკული მომავლის კლუბი **მ ა ნ ტ ი ა**, მოსწავლეებმა თავად დანერგეს ზღაპრები, შექმნეს კომიქსები.

ქართულ-ამერიკული მომავლის კლუბის – „მანთიას“ მდგრადი განვითარებისთვის პროექტი ჩართულნი იყვნენ საბაზო და სამშალო საფეხურის მსურველი მოსწავლეები, რომლებმაც დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან იმუშავეს სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვასა და განხორციელებაში, რამაც უზრუნველყო მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაცია და უფროსკლასელებში ლიდერის უნარ-ჩვევების გამოვლენა. ამასთან, მათ ჰქონდათ ტრანსფერული უნარების გამოვლენის უამრავი შესაძლებლობა.

მთავარმა გამოცდილებამ და ცოდნამ გადამანყვეტინა, დამეფუნებინა შემეცნებითი ცენტრი „მანთია“, სადაც დაიგეგმა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება მშობლებზე მორგებული დროით. შექმნილი ცენტრში მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ დაუვიწყარი და კოგნიტიური აქტივობებით დატვირთული დრო გაატარონ. ცენტრის შესახებ დამატებით ინფორმაციას შეგიძლიათ გავეცნოთ ჩვენი Facebook-ის ოფიციალურ გვერდზე.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს გავითარების უნივერსიტეტის **ვალერიან ლომიძის** თანადგომა ცენტრის განსნისა და მხარდაჭერის მხრივ. მადლობა, რომ შესაძლებლობა მომცა, ცენტრს ფუნქციონირება დაეწყო „ბორჯომის“ რედაქციის გვერდით. მადლობა მინდა ვუთხრა ქალბატონ **დოდო მაყულაშვილს**; მან სრულიად უსასყიდლოდ გადმოგვცა ცენტრის ფუნქციონირებისთვის საჭირო ინვენტარი – ახალგაზრდებს ხელშეწყობა გჭირდებათ, არავფიქრებთ მალურად განათლება კი მეტად საჭირო საქმეა ჩვენი რაიონის მოსწავლეებისთვისო. – გვითხრა ღიმილით, ჩვეული სიტოზით და ოთახების კარი გაგვიღო – ნაიღო და წარმატებებს გისურვებთო.

საგანმანათლებლო სფეროში ჩემი თითოეული ნაბიჯი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ყველა იმ მოსწავლეს ლექციასა და სემინარს უკავშირდება, რაც წლებია, ცოდნის მიღებასა და ახლა უკვე გაცემის ითვალისწინებს. წლებია, სახელმწიფო სტიპენდიის და გუდავაძე-პატარაკაციშვილის ფონდში ათ სტუდენტს შორის დასახელება, ჩემთვის დამატებითი მოტივაციაა, რომ თვის წარმატებული მასწავლებელი და მოსწავლეებმა ფერადი, მრავალფეროვანი სასწავლო პროცესით შეძლონ, ისწავლონ, განვითარდნენ და იცოდნენ სწავლის სწავლება.

მთავარმა გამოცდილებამ და ცოდნამ გადამანყვეტინა, დამეფუნებინა შემეცნებითი ცენტრი „მანთია“, სადაც დაიგეგმა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება მშობლებზე მორგებული დროით. შექმნილი ცენტრში მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ დაუვიწყარი და კოგნიტიური აქტივობებით დატვირთული დრო გაატარონ. ცენტრის შესახებ დამატებით ინფორმაციას შეგიძლიათ გავეცნოთ ჩვენი Facebook-ის ოფიციალურ გვერდზე.

საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები **ნათია** და **საბა გვარამაძეები**. პროექტი, რომლის სახელწოდებაც **ბევრი ვიფიქრე, დაგილდობა** ცერემონიული დასრულდა ბორჯომის უნივერსიტეტსა და ხელოვნების ცენტრში, მინისპექტაკლით – „ნელაინადი, ჩვენ სულ ერთად ვართ“ (ინსცენირება – ანასტასია გელაშვილის ზღაპრის მიხედვით.)

საგანმანათლებლო სფეროში ჩემი თითოეული ნაბიჯი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ყველა იმ მოსწავლეს ლექციასა და სემინარს უკავშირდება, რაც წლებია, ცოდნის მიღებასა და ახლა უკვე გაცემის ითვალისწინებს. წლებია, სახელმწიფო სტიპენდიის და გუდავაძე-პატარაკაციშვილის ფონდში ათ სტუდენტს შორის დასახელება, ჩემთვის დამატებითი მოტივაციაა, რომ თვის წარმატებული მასწავლებელი და მოსწავლეებმა ფერადი, მრავალფეროვანი სასწავლო პროცესით შეძლონ, ისწავლონ, განვითარდნენ და იცოდნენ სწავლის სწავლება.

ობა ისახარაშვილი
დაწყებითი განათლების სამაგისტრო – საგანმანათლებლო პროგრამის მე-5 კურსის სტუდენტი



როგაული ცხოვრების სტილი საქართველოში



მომხსენებელი, რომ ისტორიის სპეციალობის სტუდენტებს გვევლინება, ერთი სექტორის განმავლობაში, ერთი საღებავი კურსის ჩატარება უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ. ჩვენს ლექტორთან – ქალბატონ **თამარ მათიაშვილთან** ერთად, შევეჯერდით, რომ ნავსულოცავით ძალისას ნაცლაქარი, რადგან ყურადღება მან მიიქცია ჩვენი ყურადღება. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გვერდში დგომის, ჩვენი ინტერესის სფერო დავიკმაყოფილოთ. ძალისას ნაცლაქარი საქალაქო ცხოვრების აღმავლობისა და დანინაურების თვალსაჩინო მაგალითია, რომელიც მოიცავს ახალი ნელთალრიცხვის პირველ საუკუნეებს. იგი დაახლოებით

70 კა-ზეა გადაჭიმული. ტერიტორიაზე განლაგებულია: დიდი საცურაო აუზი, აბანოები სამი განყოფილებით (ცხელი, ცივი, გრილი აუზებით). საინტერესო ისაა, რომ ამ დრომდე შემორჩენილია მოზაიკები, თუმცა, დაზიანებულია, მაგრამ მინიმუმ შესაძლებელია მათი ამოკითხვა და გაჩვენება. თითქმის, 2000 წელზე მეტი დრო გავიდა და მოზაიკები ისევ ისეთი სიცოცხლისუნარიანია, როგორც ადრე. ზოგი მოზაიკა შესრულებულია 7 ფერის კენჭებისგან, ზოგს – 12. მათზე გამოსახულია ძველი ბერძნული მითოლოგიური პერსონაჟები: დიონისე და არიადნა. მათ გარშემო კი – 4 მურსონაჟი, რომლებიც წელიწადის დროებს ასახავენ.

სასწაულია, წარმოიდგინო თუ როგორ დახვეწილად ცხოვრობდნენ ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში, როგორ ცდილობდნენ, შეექმნათ კომფორტი. ეს მათი სტილია. სადაც მიიღობდნენ, ყველგან კომფორტს იწყობდნენ. ამასთანავე, ისინი ტოვებდნენ თავიანთი ქვეყნის კულტურის, ხელოვნებასა და არქიტექტურას. რამხელა შრომა და ნებისყოფა სჭირდებოდა მოზაიკების შექმნას, ეს არაა ადვილი. ვფიქრობ და ჩემი მეგობრების აზრსაც გამოვხატავ – ასეთი გავსებითი ლექციები მთამებუდავი და ბევრის მომცემია ჩვენთვის.

მერი ახანიაძე
ისტორიის სპეციალობის მე-4 კურსის სტუდენტი

დიდი სიამოვნებით მსურს, გავაცნო ჩვენს მკითხველს არარეპროდუქციულ ახალგაზრდა, შამოქმადებით და ლალი აზროვნებით გამოჩენილი ცოტენა თოდუა, რომელიც აფხაზეთიდან დევნილია და ჩვენს მკითხველს უამბობს სულზე გაფურცდულ იმ აკატუსზე, რომელიც თბილ მოლოდინთან ერთად ყველა დღეს ასვაას ეპლიან კვალს.

– მოგესალმები, ცოტენე. – გამარჯობა. გულთბილი სალაში ჩვენი ძვირფასი გაზეთის – „მესხეთის უნივერსიტეტის“ მკითხველს. – ცოტენე, გვიამბე შენ შესახებ, გააცანი მკითხველს თავი. – დავიბადე 2002 წლის 20 აგვისტოს; დავიბადე და გავიზარდე ქალაქ ზუგდიდში, თუმცა, ჩემი ფესვები აფხაზეთიდან მოდის. ამჟამად ვარ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 კურსის სტუდენტი. რა შემთხვევაში შესახებ ვთქვა – ვარ საკმაოდ მშვიდი და განონასწორებული პიროვნება, კომუნიკაბელური. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ოჯახი, მეგობრები და ის უახლოესი ადამიანები, ვის გარშემოც თავს კარგად და მშვიდად ვგრძნობ. ცხოველების სიყვარული ბავშვობიდან მომყვება; სწორედ ეს იყო ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, თუ რატომ ვარ მე დღეს ვეტერინარიის სპეციალობის სტუდენტი. არ მიყვარს, როდესაც მატყუებენ და არასამართლიანად იქცევიან ჩემ გარშემო. – სიმართლე რომ გითხრა, ველოდი ამ პასუხს. სამყარო ბევრად მშვენიერია ტყუილისა და უსამართლობის გარეშე. ცოტენე, მოგიყვები სულში გაფურჩქნულ სიყვარულის კაქტუსზე – გვესაუბრე ჩვენს აფხაზეთზე, ბავშვობაზე, იმ მოგონებებზე, რომლებიც მასთან გაკავშირებს, რეალობაზე, რომელიც ძალიან რთულია, თუმცა, ის მიზანი, რომ ერთხელაც აფხაზ მოძმეებს თავისუფლად გადავხვებით, ამ ტკივილს შევბას გვრის.

ცოტენეს მსგავსად, თითოეულ ჩვენგანს გვტკივა და გვანუხებს არსებული რეალობა. ჩვენ გვაქვს საშუალება, ხმამაღლა და თამამად დავაფიქსიროთ საკუთარი მოსაზრებები, სურვილები, გავუზიაროთ სხვებს ემოცია და იმედები... ეს ნამდვილად დიდი შევებაა. თუმცა, ჩვენთვის სამწუხაროდ, ენგურს იქით საქართველოში ადამიანებს ეს უფლება ჩამორთმეული აქვთ. მათ არ შეუძლიათ, ღიად ისაუბრონ პრობლემებსა და მათი მოგვარების გზებზე. გთავაზობთ ჩვენს თანამემამულის (გოგონა აფხაზეთიდან) გაზიარებულ ემოციებს „საზღვრის“ მიღმა არსებულ სიცოცხლეზე.

აგვისტოს ომის დროს 4 წლის ვიყავი, სწორედ მაშინ, პატარა ბავშვს მომიხდა, გამეანალიზებინა, თუ რა ხდებოდა ჩემს ირგვლივ, ვინ იყვნენ იმ ტანკების შიგნით, რომლებიც დღემდე 200-ჯერ მინიცი ჩაივლიდნენ ჩემი სახლის ჭიშკართან და რომლის დანახვისას შიშისგან სახლის კიბეების უკან ვიმალებოდი... საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრები ადამიანების ცხოვრება ძალიან რთულია,

– ჩემი ბავშვობის ბედნიერი წლები უკავშირდება აფხაზეთს, ტკივილს, რომელიც დღემდე მოუშუშებელია... არადა, ჯერ კიდევ გუშინ „ქორი ნინილას აფხაზეთში თუ იტაცებდა“... „ჰაუ ჰაუ“ გაჰყვიროდნენ სამეგრელოში. მენატრება თითოეული კუთხე-კუთხული, თითქოს, ახლაც ვგრძნობ იმ ცვირინი მინდვრის სი-

გვჯეროდეს... გვსურდეს... გვიყვარდეს...

ნოტივებს, რომელზედაც მიღებენი ლაღს, ფეხშიშველს, აფხაზეთის იმ გრილ მინაზე, რომელიც სულსა და გულს ათბობს, თითქოს ნიაფიც სხვანაირად გესალბუნება. „სქანი გოლუფაფროს“ სულ სხვანაირი ჟღერადობა აქვს. – „სარა ვარა ბზია იზბოიტ“ – დიდი სიყვარულით, გულთბილად მოვიკითხავ ჩვენს აფხაზ თანამოდმეებს... ხატვა – სულის გამოძახილის გაზიარება ადამიანებისთვის. მოგიყვები შენი შემოქმედების შესახებ. – ხატვა მრავალი წლის წინ იქცა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ განუყოფელ ნაწილად, თუმცა, არასდროს მიფიქრია მასზე, როგორც ჩემს ძირითად პროფესიაზე. როდესაც ვხატავ, ირგვლივ, თითქოს, დრო ჩერდება, სულიერად ვმშვიდდები, განსაკუთრებით მაშინ ვგრძნობ თავს ბედნიერად, როდესაც ვაცოცხლებ პეინტის აფხაზეთისას, იმ ადგილებს, რომელთანაც ბედნიერი მოგონებები მაკავშირებს.

– ნარმომიდგენია, როგორი სასიამოვნო და გულში სითბოს ჩამღვრელია, იპოვო შენი წილი ბედნიერება. წრფელი გულით გისურვებ, სულ მალე მზიან სოხუმში ჩასულს, სიხარულით სავსეს დაგვხატოს მშვენიერი პეინტი. აქვე აღსანიშნა ფაქტია, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული აფხაზური ცენტრის „მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“ აქტიური წევრი ხარ. გაგვიზიარე, რა შეგრძნებებსა და იმედებს ჰბადებს ეს მოვლენა შენს ცხოვრებაში. – სამი ათეული წელი გავიდა, რაც ხიდი ჩატყდა ძმებს შორის.



– რომ შემეძლოს, ეგრეთ ნოდებულ გამყოფი ხაზის გაღმა და გამოღმა მრვალტკივილგადატანილ ადამიანებს, რომლებსაც უჭირთ ბურუსიდან გამოსვლა, რომელთა ირგვლივ დაუსადგურებია მტრის დაუოკებელი მცდელობით სიცივეს, სიცივრელებს, სიბნელეს, უსაშველო მონატრებას, შევეცდებოდი, გამექროს ის ტკივილი, ამომევესო სიცივილე, მონატრება შემეცვალა შეხვედრის სიხარულით, რადგან „რაც მტრობას დაუნგრევი, სიყვარულს უშენებია“. – ნამდვილად, ცოტენე. არ არსებობს სიყვარულსა და ურთიერთგაგებაზე ძლიერი გრძნობა. განცდა იმისა, რომ გულწრფელ ადამიანურ ურთიერთობებს შეუძლია ყველა სირთულის მოგვარება, საოცარია! იმედებითა და სიამაყით სავსე, დიდ მაღლობას გეტყვი გულახდილი საუბრისთვის. სულ მალე ერთობის სიხარულით გაბრწყინებულები, ხმამაღლა ვისაუბრებთ, როგორ აგვიხდა ეს ოცნება... გვეჯეროდეს... გვსურდეს... შევიყვაროთ!

ალბათ, არ არის მარტივი წარსულის დავიწყება, მაგრამ ჩვენ ის თაობა ვართ, ვინც უნდა შეძლოს, რომ კვლავ „ერთი მამალი აღვიძებდეს ოდიშს-აფხაზეთს.“ ვფიქრობ, ეს გარდაუვალი პროცესია. ჩვენ, „მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“, საქართველოს სხვადასხვა კუთხის ახალგაზრდებთან ხელჩაკიდებულები, გამოვიყენებთ კომუნიკაციის ყველა საშუალებას, რათა ენგურის ხიდი კვლავ ვაქციოთ მეგობრობის, სიყვარულისა და იმედის ხიდად. – უბრალოდ, ნარმოდგენელია, სიამაყითა და ენთუზიაზმით არ ივსებოდეს ამის მომენისას თითოეული ახალგაზრდა. გათენდება დღე, როდესაც ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას ჩვენს აფხაზ ძმებსა და ძმებს გადავხვებით და ვეტყვით, რომ ბედნიერები ვართ. ახლა სიყვარულის ჯერია! და ბოლოს, ცოტენე, რომ შეგეძლოს...

„საზღვარი“

წერტილ-მძიმითურთ, მცდარი იყო. ეს ყველაფერი ხმამაღლაც არაერთხელ გამომიხატავს, რაც არაერთხელ ყოფილა კონფლიქტის მიზეზი. ბავშვობაში არალეგალური გზით ე.წ. „ჩორნი ხოდით“ გვიწვედა გადაპარვა. დაგვიჭერდნენ, ჯერ თავიანთ „ბაზებში“ წაგვიყვანდნენ, საღამომდე იქ ვიყავით, საღამოს გალის პროკურატურაში მივყავდით ე.წ. „ურალით“, იქიდან კი თანხის სანაცვლოდ გვიშვებდნენ. ისე, მართალია გამოთქმა – ყველა ერთ ქვაბში არ უნდა მოხარშო. იყვნენ გამოჩინილი აფხაზები და რუსები, რომლებსაც „ბაზაში“ ყოფნის დროს, რადგან პატარა ვიყავი, ჩემთვის ტკბილეული მოჰქონდათ და კარგად მექცეოდნენ. შემდეგ ყველამ საბუთების გაკეთება დაიწყო. ჯერ იყო ნითელი და მწვანე საბუთი, შემდეგ მეცხრე ფორმა და შემდეგ უკვე „ვიდნაჟიტელსტვა“, რომლის აღებასაც თვეები სჭირდება, რა თქმა უნდა, თუ ნაცნობი არ გყავს ან კიდევ გასაფლანგი ფული არ გაქვს.

„საზღვარი“ – ეს ის სიტყვაა, რომელიც ძალიან ბევრი რამის მომცველია და რომელზე გადასვლისას თავს სხვა ადამიანად ვგრძნობ. დაახლოებით, იმ მომენტს ნააგავს, ჩიტს რომ გალიდან გაუშვებ, გაფრინდება და თავისუფლებას შეიგრძნობს. მეც სწორედ ასე ვარ, დანარჩენ საქართველოში თავს თავისუფლად ვგრძნობ, ვგრძნობ, რომ მეც გამაჩნია ის უფლებები, რომელიც აფხაზეთში ყოფნისას მიუწვდომლად გვეჩვენება. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ბავშვობიდან ჩემი გული სწორედ იქით მიიწვედა. 2020 წლის მარტში COVID 19-ის გამო „საზღვარი“ ჩაიკეტა, მოსახლეობას დანარჩენ საქართველოში ისევე არალეგალური გზით უწვედა გადასვლა. ამ ფაქტს რამდენიმე ადამიანის სიცოცხლეც კი შეენირა. ამ წლის ზაფხულს, სტუდენტი როდესაც გაეხდი, ამდენი წლის მერე, ისევე იმ გზის გადალახვა მომიხდა, რასაც ბავშვობაში გავდიოდი. ღამის 3 საათზე გადავიპარეთ. გზად მრავალი ეკლემბი, ტყეები, ღობეები, ტალახი გავიარეთ, დავმავდით კიდევ, მაგრამ ამას ვინ ჩიოდა, მთავარი იყო სამშვიდობოსთ-

ვის შეუმჩნეველად მიგვეღწია. ენგური ადიდებული იყო, ფაქტობრივად, მარტო ვერც გავრისკავდი გადასვლას, რომც გამერისკა, არ ვიცი, რით დასრულდებოდა ეს მცდელობა. ყველამ ერთმანეთს ხელი ჩაეჭიდეთ და დიდი წვალეების შედეგად სამშვიდობოს დაჩხაპნილებმა, დაკანრულებმა, სისხლიანებმა, მივალნიეთ. იმ ღამით იმდენი დაბრკოლება და შიში გამოვიარე, არა მგონია, ისევე გავრისკო იგივე გზის გავლა. ეს არ არის მხოლოდ ჩემი ყოველდღიურობა, ეს ყველაფერი ისაა, რისი გადატანაც აქ მცხოვრებ მოსახლეობას უწევს. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც მიხარია და ბედნიერი ვარ, რომ აფხაზეთში ვცხოვრობ, მაქვს ბედნიერება, ვნახო სოხუმი, მერხეული, ოჩამჩირე... არ ვკარგავ რწმენას და მჯერა, რომ მალე აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის ის „ზღვარი“ არ იქნება და ისევე ერთი მთლიანობა, ერთმანეთისგან განუყოფელი ნაწილი ვიქნებით.

გვერდი მოამზადა რიმა სულაძემ ქართული ფილოლოგიის სპეციალობის მე-3 კურსის სტუდენტი

სოცია



პოეტები

პო, პოეტები ზღვას უთვლიან დაუთვლელ ტალღებს! პო, პოეტები აუდიან ტყვილებს დამღვლელს!

მე რომ წავალ, რა მოხდება ნეტავ?!

გაზაფხული ნეტავ ისევ მოვა, ისევ ისე შემოალეს კარებს? წვიმიანი დღეები თუ მოვა,

თორნიკე პერიკა დანახებითი განათლების საბაკალავრო-სამაგისტრო საბანაკანათლავლო პროგრამის მე-4 კურსის სტუდენტი

ნეტავ ისევ სწრაფად გავა წლები და ეს წლები კვლავ გააჩენს ღარებს? ნეტავ ისევ იწავრადებს ცრემლი, სახეზე კვლავ დააყენებს ღვარებს?

ნახვლის შემდეგ რა მოხდება ნეტავ? დავაკლდები ჩაბნელებულ ღამეს?

ვარსკვლავებით გადაჭედვით ზეცას, გრძნობით სახეზე, განათებულ მთვარეს?

ნეტავ ისევ, თუ დანერგე გრძნობით, მიუძღვინან სტროფებს ნათელ თვალს?

შერჩებიან ისტორიას ნეტავ? ვინც ზეცაზე ვარსკვლავები თვალსეს...

ზოგი ოცნებობს, შვილი ჰყავდეს და, ზოგიც კი ამ დროს აბორტს იკეთებს.

ნუთუ დრო მოვა ქვეყნად ისეთი, ცუდი სიკეთით გამოიკეთებს?

ზოგი ლოცულობს, ქედს იხრის სადღაც, ზოგიც კი ყველა ნაცოდვილ ამბებს,

დედამინაც კი მოხერხდა, ალბათ, და ისიც მიკვირს, სად იტეხს ამდენს!

როგორ მოვჩანვარ...

როგორ მოვჩანვარ, ღმერთო, მაღლიდან? როგორ მიფასებ ნეტავ ნაბიჯებს?

გიუნადგოდე მაშინაც, როცა გულზე უღმერთოდ გადამაბიჯეს.

როგორ მოვჩანვარ, ღმერთო, მაღლიდან, როცა ჩემი მე თვალს მარიდეებს?


წვიმის თქემები სხეულს მისველებს, სული ყინვამო სამოსს არიგებს....

სიუჟეტითა არის, ისე სპეტაკია, როგორც მინდორ-ველი, დილით ნამიანი.

ქვეყნად უანგარო ყველა სიკეთეა, ჩემი მარიამი, ჩემი მარიამი.

მალა მიზეზი ღრუბლის მიმოვანტვის, გათუნება არის, დაბლა დარიანი.

ნორჩი, უმნიკვლოა, ტკბილი, ღმილია, ჩემი მარიამი, ჩემი მარიამი.



ჩემო აფხაზეთო

დღეს ყველა მითი, სამწუხაროდ, რეალურსა ჰგავს, ვეჟეცურ ცრემლით, უნუგემოდ, ისევ ვიღვრები,

აფხაზეთია საქართველო! ვიტყვი მრავალჯერ და ჩემს სამშობლოს სიყვარულში არ დავიღვრები.

დღეს, სამწუხაროდ, ქართულ მიწას კადრებში ვუცქერ, დაღად ასვია ქართულ სხეულს ბასრი ისრები,

სიზმრადაც გნახე აფხაზეთო, მე მჯერა იმის,

ქართულ ტალახით, აფხაზეთში რომ დავისვრები.

კადრებში მაინც ვეფერები შენს სილამაზეს, რინის ტბას როგორ ეხვევიან ნახად ნისლები,

ქართულ მიწაზე მოელვარე, ნითელი ვარდო! უფრო თამამად იმედო მაქვს, ხვალ გაიშლები.

ზილიკი

გზად ბევრი მაცდური მელია შეგხვდება, შეგხვდება ტურა და შეგხვდება სატანა, ძნელია ცხოვრების ქარტახოს გაუძლო, ძნელია კარებში გოლების გატანა.

როდესაც სიცხე თარეშობს სხეულში, ძნელია, გაგათბოს სიცხით ზამთარმა სადაა, ვარდები უეკლოდ დაკრიფო, ძნელია ყოველთვის იარო მართალმა.

ძნელია, ცხოვრების ბილიკზე დეცვი, მწვერვალზე ასულმა, სიცოცხლით გამთბარმა, ძნელია, უგრძობი სტროფები დანერო, სტროფებთან ბრძოლაში გრძნობებით დამთვრალმა.

ოჯახი

ყველა პოეტი, სხვა შემოქმედნიც, მასზე წერენ და მასზე მღერიან. ეს ოჯახია ნმიდათანმიდა, ადგილი, სადაც მუდამ გელიან.

სიკეთეს ათასს გაგვიკეთებენ, ნაცვლად არაფერს აღარ ელიან, ადგილი, სადაც ყველა განსაცდელს ერთუთრის ძალით ერთად შველიან.

ტკივილებს, დარდებს ერთმანეთისას, აყურებენ და არ იღლებიან, უნდათ მლიმარე სახით გხედავენ და შენზე ზრუნვით არ იღლებიან.

მთლად უანგაროდ გულს გაჩუქებენ, ბედნიერების ცრემლებსაც გგვრიან, სიცოცხლესაც არ დაიშურებენ, თუ საქირია, სისხლსაც დაღვრიან.

ამ სიტობზე და ამ სიყვარულზე ყველა სხვადასხვაგვარად ყვენიან. ჩემთვის ოჯახი სულის საზრდოა, სადაც ბოლომდე გადაგყვებიან.

ჩემი ოჯახი ჩემთვის მზე არის, სადაც ვუყვარვარ, სადაც მელიან, სადაც სიკეთეს არ იშურებენ, მის სანაცვლოდ კი არას ელიან!

ლექსი

ბერჯერ სტროფში დავკარგულვარ, ბევრჯერ ცრემლიც მომრევია, უსასრულოდ ლექსს ვერ დავწერ, ნეტავ ბოლო რომელია?

ზოგჯერ ვეჭირობ, მე არა ვწერ, ნაკარნახი ყოველია, პოეზიამ დამატყვევა, ჩემი გულის მპყრობელია.

თქვი, რაც გინდა, ის არ გავაცემს, საიდუმლოს მფლობელია, ზოგჯერ ისე აგიტაცებს, ძლიერ დაუნდობელია.

აცივდა, ირგვლივ სიცხე უფეხს, ატმის ხის ყლორტებს საბანს ვაფარებ, სითბომ სიცხე რომ ჩანაცვლოს, სამხრეთის ნიავს თხოვნას ვაბარებ.

იასამნასაც წაერთვა ფერი, გრძნობდნენ დაცლილ სხეულს ვადარებ, ზოგჯერ ნიავი თბლად რომ დაჰქრის, ზურგაკიდებულ ტალახს ატარებს!

ძალაუფლება

ძალაუფლება როდია „დიდი კაცობის“ ნიშანი, თავი არასდროს გეგროს „არჩივი მალა მთისანი“. ფრთაშოტხილი მინახავს, მთაში მრავალი ფრთოსანი, გამოლეული სტროფებით, დაღონებული მტოსანი.

თავი არც მეფედ მოგქონდეს, თუმც არც თხა იყო კლდისანი, ნუ დაივიწყებ! გახსოვდეს! შეიღნი ვართ ჩვენ მინისანი.

„ზოგჯერ დარია“

ზოგის ცხოვრება ტკბილი წუთია, ზოგისთვის კიდევ მოთქმა-გოდება. ბედის ბორბალი არ ვიცი თ როდეს, ვისთან, როგორ და სად მიგორდება!

ერთდ დღეს უეცრად გამოიდარებს, მეორედ დღეს კი ისევ ქარია! ჩვენი ცხოვრება წვიმას მაგონებს, როდესაც დიდი ნიაღვარია.

ყოველი დღე ხომ ერთმანეთს არ ჰგავს? სულ კი არა წვიმს, ზოგჯერ დარია! უბედურება მაგონებს წვიმას, ხოლო მზე იმ დღეს, როს მიხარია.



საინტერესო თავგადასავლენები

როდესაც გადავწყვიტე ჩემი მეორე პროფესიის დასაუფლებლად სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამერიკაში, თავიდავნი მიზნად დავისახე, გამმხდარიავე გაცვლითი პროგრამის მონაწილე, ამიტომ ახალი შესაძლებლობებისთვის ფართოდ გავადე ჩემი ცხოვრების ახალი ეტაპის კარები. თითოეული სტუდენტის განვითარებისთვის აუცილებელია ახალი, განსხვავებული ცოდნის მიღება და ახალი გამოცდილება. თუმცა, სტუდენტის მონდომებასთან ერთად, უმნიშვნელოვანესია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემქმნილი გარემო, რომელიც აკადემიური პერსონალისგან სტუდენტებისადმი უპირობო მხარდაჭერას და მეგობრულ დამოკიდებულებას გულისხმობს. ჩვენი კი, სტუდენტებს, ეს გვემხარება, ვიყოთ კიდევ უფრო წარმატებული.

იყო შესანიშნავი საშუალება ახალი ცოდნის მისაღებად. პოლონეთის საგანმანათლებლო სისტემაში განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, ვინაიდან ძალიან განსხვავებული სასწავლო პროცესის წარმართვის შექანიზმი და კარგად დახვეწილი კურიკული იქნა. პროგრამის ფარგლებში, უშუალოდ შევხვედი პოლონეთის, როგორც იურიდიული სფეროს წარმომადგენლებს, ასევე სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლებს. ლოდის უნივერსიტეტში რამდენჯერმე, რექტორის მონაწილეობით, ჩატარდა მალაი დონის შეხვედრები ევროკავშირის ეგიდით მონაწილე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან, რომლებიც მუშაობენ დემოკრატიის განვითარებაზე, სოციალური გარემოს გაუმჯობესებაზე, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებებზე. მეორე შეხვედრებში, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო უნივერსიტეტი კონფერენციას, რომელიც ჩატარდა ევროკავშირში ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის ცენტრმა, რომელსაც ევროპის ყველა ქვეყანაში ყავს წარმომადგენლობა და შემოსილია სამუშაო აგვუფები. (EUROPEAN UNION AGENCY FOR FUNDAMENTAL RIGHTS). ასევე, შეხვედრა შესაძლებლობა, სიტყვით გამოხატვის კონფერენციაზე თემატიკით „ომის დანაშაული“; კონფერენცია ჩატარდა ევროპის წარმომადგენლებს, რომლებიც ხელმძღვანელობს სამუშაო აგვუფს სამხრეთ კავკასიაში. ჩვენ ვისაუბრეთ მიმდინარე მცოცავ ოკუპაციასა და 2008 წლის ომზე, ასევე, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის თვითღარებულ რესპუბლიკებზე; საერთაშორისო მექანიზმებზე, რომელსაც ჩვენი ქვეყანა იყენებს სტაბილურობის ნორმალისაციისთვის, რასაც ახორციელებს ნითელი ჯვარი და ევროკავშირის გრძელვადიანი სადაცკირეველო მისია. დასასრულს, არ შემოდილა, არ ადვილნი იმ მეგობრული გარემო, რომელიც იქ დამხვდა. შევიძინე ბევრი უცხოელი მეგობარი, გავეცანი ახალ კულტურას და მივიღე დადებითი შთაბეჭდილებები. ჩემთვის ეს პერიოდი იყო საინტერესო თავგადასავლებით სავსე.

სალონი ღამაშობაში სამართლის პროგრამის მე-3 კურსის სტუდენტი

საოცნებო ხუთი ხვირა

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის მეოთხე კურსის სტუდენტმა ნინო ზედგინიძემ და ამავე სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტმა სირუნიკ ავეტისიანიმ ამერიკის შეერთებული შტატების „სტუდენტური ლიდერების სამოქალაქო ჩართულობის“ (Study of the U.S. Institute) პროგრამის ფარგლებში, თევანგევარი სიტეტში, ვაშინგტონის უნივერსიტეტში გაატარეს. ნინო და სირუნიკი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტები არიან. ისინი უნივერსიტეტის არაერთ პროექტსა თუ ღონისძიებაში არიან ჩართული. სწორედ ასეთმა აქტივობებმა სტუდენტურმა ცხოვრებამ მისცა მათ საშუალება, ოცნება აეხდინათ და ამერიკაში საკმაოდ დიდი პერიოდი გაატარებინათ. რა გზა გასლეს და რა ცოდნა შეიძინეს იქ ყოფნის დროს, ამაზე თავად ნინო და სირუნიკი მოგვითხრობენ.

ჩვენი ოცნება ავიხდინეთ. „სტუდენტური ლიდერების სამოქალაქო ჩართულობის“ პროგრამა შესახებ გავიგეთ თუ არა, გადავწყვიტეთ, მიგველოც მონაწილეობა. პირველ ეტაპზე მევაჯიეთ აპლიკაცია, რომელიც მოიცავდა პერსონალურ მონაცემებს. წარმოვაჩინეთ ჩვენი ძლიერი და სუსტი მხარეები, მოხალისეობრივი და ჩვენ მიერ ჩატარებული აქტივობები. ასევე, დავანერეთ ესე, თუ რატომ ავირჩიეთ აღნიშნული პროგრამა. ასევე, რას მოგვცემდა მასში მონაწილეობა. მეორე ეტაპზე იყო გასაუბრება. გასაუბრებიდან რამდენიმე კვირაში მივიღეთ შედეგი, რომელსაც გვაუწყა, რომ საქართველოდან ამერიკაში გამგზავრებოდა 4 კონკურსანტი და მათ შორის ვიყავით ჩვენც. ვაშინგტონის უნივერსიტეტში ჩასვლამდე საკმაოდ გრძელი გზა გავიარეთ. სიტეტში ორგანიზაციის წარმომადგენელი დავხვდა. აქ 4 კვირა გავატარეთ, შემდეგ სასწავლო ტურით წავიდეთ კანზას სითიში, შემდეგ - მისურის შტატში. ამერიკაში გატარებულმა 3 კვირამ დიდი გამოცდილება მოგვცა. პროგრამის ფარგლებში შევიძინეთ ლიდერისთვის დამახასიათებელი თვისებები. გაუმჯობესდა ჩვენი ინგლისურად კომუნიკაციის, ჯგუფური მუშაობის უნარი. ასევე, შევიძინეთ ისეთი ცხოვრებისეული გამოცდილება, რომელიც ყოველთვის დაგვეხმარება საკუთარი თავის განვითარებაში. გვეყვება მასპინძელი ოჯახები, რომლებიც დაგვეხმარებენ, უკეთ გაგვეცნო ამერიკის წესები, ჩვეულებები და ტრადიციები. სანაცვლოდ ჩვენ მათ ვუზიარებდით ჩვენს კულტურასა და ტრადიციებს. პროგრამის მეშვეობით, შევხვდით სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ სტუდენტებს, რომლებსაც ასევე გავუზიარეთ და შევავყვრეთ ქართული კულტურა. გვექონდა სემინარები ამერიკის ისტორიის შესახებ, ასევე, დისკუსიები. მე-4 კვირას წარგადგინეთ ჯგუფური პრეზენტაციები ჩვენი ქვეყნის კულტურის შესახებ. საინტერესო იყო ლიდერობის განვითარების ტრენინგი, FIUTS-ის ოფისში გამართული კულტურული და მოხალისეობრივი ღონისძიებები. ყოველკვირეული აქტივობები და ტრენინგები ფოკუსირებული იყო სხვადასხვა თემებზე, როგორცაა სამოქალაქო უფლებები, ინგლისური სამართალი ანონბა, გენდერული თანასწორობა, თემის გაძლიერება, ახალგაზრდების აქტივიზმი, დემოკრატიის გაძლიერება, ანტიკორუფცია, ადამიანის უფლებები, მედია ნიგნიერება და დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა. გარდა ამისა, გვექონდა ვიზიტები. მაგალითად, ერთდღიანი მოგზაურობა ბინგბრიჯის კუნძულზე, ვიზიტი ოლიმპიაში, შეხვედრა ბილ და ბელინდა გენიტის ფონდთან და მულოს, სასწავლო ტური კანზას სითიში, მისურში.



პროექტისთვის – Empowerment Through Education, რომელსაც უკვე ვახორციელებთ. ჩვენი პროექტი განკუთვნილია 12-14 ხლის სკოლის მოსწავლეების განვითარებისთვის. ვაკეთებთ აქტივობებს შემდეგ თემებზე: ბავშვთა და ადამიანის უფლებები, ახალგაზრდული ჩართულობა, ჯანმრთელობა და სოციალური მომსახურება, რასიზმი, ტოლერანტობა და ა.შ. პროექტში მონაწილეობენ, ასევე, სტუდენტები, როგორც რეპეტიტორები, რათა განავითარონ თავიანთი სხვალები უნარი, რომელიც გამოადგება მათ მასწავლებლის პროფესიაში.

მიზნები და სურვილები ბევრია. მადლობა გვინდა ვუთხრა „სტუდენტური ლიდერების სამოქალაქო ჩართულობის“ წარმომადგენლებს, ასევე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომ მოგვცა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიგველოცა შეთქმულ და სერიოზულ პროგრამაში.

ნინო ზედგინიძე სირუნიკ ავეტისიანი ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტები

რედაქტორი მარინა ზაფლავილი რედაქლეტორები: ლიპა ზაზაშვილი, რიმა სუდაძე, თამარ ჯორჯიანი, იური პალაშაძე, ნატალია ჰარდი, მარინა პარტინიანი, თანაპო მელიძე მისამართი ქ. ახალციხე, რუსთაველის 113 ტელ.: (+995) 22 890 400 191 ტელ.: 599 25 25 68 ვებ-გვერდი: www.sjuni.edu.ge